№ 219
კვირა, 4 დეკემბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 219
კვირა, 4 დეკემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

დღეს, 4 დეკემბერს,
დილის 11 საათზე, ნაძალადევში
დანიშნულია
სახალხო მიტინგი

განსახილველი საგნები:

1) რა გზას უნდა დავადგეთ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის გამო.

2) ქალაქის სარევოლუციო თვითმართველობა (კომმუნა) და ჩვენი მასთან დამოკიდებულება.

ტფილისის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

ვერცხლის თეატრში სადღესოდ დანიშნული მ. განელიძისა და შ. გოგელიას
რეფერატი
გადაიდო
რამდენიმე დღით.
რეფერატის წაკითხვის დღე გაზეთებში გამოცხადდება.

ტფილისის ქალაქის გამგეობა სთხოვს სახლების პატრონებს

გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები—თითოეულ საპოლიციო ნაწილიდან ათ კაცამდე, რომ ამათ ქალაქის გამგეობასთან ერთად შეიმუშავონ ქალაქის თავის-დაცვის პროექტი. სხდომა დანიშნულია საბჭოს ზალაში კვირას, 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე.

ამ წლის 6 დეკემბრიდან გამოვა
ყოველ-დღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი
„სხივი"
ჩვენი გაზეთი კავკასიის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციების ორგანოა.

რევოლუციონურ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ თვითმპყრობელობის კედელი შეანგრია და მთელ რუსეთს სიტყვის თავისუფლება მიანიჭა. ის ახლა სარგებლობს ამ ახალი იარაღით, რომ მით კიდევ უფრო გაამაგროს თავისი პარტია, სოციალ-დემოკრატია, და მედგრათ გასწიოს წინ თავის მიზნისაკენ.

გაზ. „სხივი" წელიწადში ღირს 6 მან., თვეში—50 კაპ., თითო ცალი 3 კაპ.

რედაქციის ადრესი: ველიკოკნიაჟესკაია, № 17 (ვორონცოვის ძეგლიდან მე-9 სახლი).

ხელის მოწერა მიიღება:
ტფილისში.

ვერაზე უფასო სამკითხველოში ნინო კალანდარიშვილთან. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მით ქუწუკაშვილთან; ნაძალადევში უფასო სამკითხველოში მარიამ ელიავასთან. ვოგზალზე I კლასის ბუფეტში შაქრო ჭანტურიშვილთან.

ტფილისს გარეთ
ადგილობრივ სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციებში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Схиви".

ამ წლის დეკემბრიდან გამოვა ყოველ-დღიური სრულ პროგრამიანი
პატარა გაზეთი
თავისუფლება, ერთობა, ძმობა!!

დაბარება შეიძლება: ერთის წლით 3 მან., ექვსის თვით 2 მან. ცალკე ნომერი 2 კაპ.

ქუთაისშივ.—ბექანიშვილის მაღაზიაში.

ვინც ამ თავითვე დაიბარებს, დეკემბრის გაზეთი მუქთად დაურიგდებათ.

რედაქტორი პ. მირიანაშვილი.
გამომცემელი კ. მესხი.
ადრესი: Дворцовая, домъ Дворянства, редакція „ПАТАРА ГАЗЕТИ".

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავოტი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფო იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. ჟ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, ზაგიანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ხ. აბეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ვეძლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი გ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ბიდის ქ. (№ 21) ხუთხეში ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნის და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 18.

ბეხბარიან პავლე—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157.

გაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ. კოჩუბეის ქუჩა № 91.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

რევოლუცია და გლეხი

ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, დავრწმუნდებით, რომ არც ერთი დიდი სახალხო მოძრაობა არ ყოფილა ისეთი, რომელსაც მარტო პოლიტიკური ხასიათი ჰქონოდეს. ყოველ ძლიერს სახალხო მოძრაობას სოციალური ხასიათი ჰქონდა და ყოველ ამგვარ სარევოლუციო მოძრაობაში ნამდვილი მებრძოლი იყო ღატაკი ხალხი: ქალაქის მუშა და სოფლის გაყვლეფილი გლეხი; მაგრამ წინანდელ რევოლუციების ნამდვილი მებრძოლნი ნაკლებ შეგნებულნი იყვნენ,—მათ არ ჰქონდათ გათვალისწინებული თავისი კლასობრივი ინტერესები, და ამიტომაც არ წარმოადგენდნენ შეკავშირებულ, შეერთებულ ძალას, რომელსაც შესძლებოდა თავისი გაეტანა და სოციალური მისწრაფება განეხორციელებინა.

მიუხედავად ამისა, ცხოვრებას მაინც თავისი გაჰქონდა, თანდა თან ირკვეოდა კლასობრივი შეგნება, განსაკუთრებულ ინტერესების დაცვის საჭიროება. საშუალო საუკუნოების განმავლობაში ხშირი იყო გლეხებისა და მთამადნის მუშების აჯანყება, ხშირი იყო აგრეთვე შემდეგშიაც, რევოლუციონურ მოძრაობის დროს, კლასობრივი ინტერესების გარკვეულად და ცხადად წამოყენება. მაგალითად, საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს, როცა პარიზის კომუნა პოლიტიკურად გაბატონდა, მაშინვე ის შეეცადა ბრძოლა გამოეცხადებინა არა მარტო ქვეყნის გამცემ ფეოდალებისათვის, არამედ საშუალო კლასისთვისაც. მან აგრძნობინა ვაჭრებს და ჩარჩებს, რომ ამ კლასის არსებობა ისევე ვერ ურიგდება ხალხის კეთილდღეობას, როგორც არისტოკრატიის არსებობა. მისი გავლენით გამოიცა კანონი, რომელიც ჯერ პურზე, მერე თითქმის პირველ მოთხოვნილების საგნებზე მაქსიმალურ ფასს აწესებდა. არავის არ ჰქონდა ნება, ამ ფასზე მეტად გაეყიდა ნიხრ-დადებული ნაწარმოები. ამასთანავე, კანონი სასტიკად სდევნიდა ჩარჩობას. გარდა ამისა, კონვენციის მემარცხენეთა—„მთის"—მიერ დაწესებულ იქმნა შემოსავლის კვალობაზე გადასახადი. ამავე რევოლუციის დროს „თანასწორთა" ჯგუფი, თუ ბაბუვისტები, შეეცადნენ ნამდვილი თანასწორობა დაემყარებინათ საზოგადოებაში, ესე იგი მოესპოთ კერძო საკუთრება. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ ვაცხადებთ,—აღარ შეგვიძლიან კიდევ მოვითმინოთ, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა თავის ოფლში იწურებოდეს შრომის გამო პატარა უმცირესობის ფუფუნების შესაქმნელად". „ჩვენ ვესწრაფვით საერთო სიკეთისაკენ, ანუ სიკეთის ერთობისაკენ. მიწა არავის არ უნდა ეკუთვნოდეს: ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიწის ნაყოფი მთელის საზოგადოების სასარგებლო იყოს: ნაყოფი ყველას ეკუთვნოდეს". ბაბეფისა და მისი მომხრეების მისწრაფება იარაღით ჩააქრო წამოღონიერებულმა, გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ.

1848 წლის რევოლუციის დროს მშრომელმა ხალხმა პირდაპირ გამოაცხადა „შრომის უფლება", და „შრომის სამინისტრო" დააარსა. 1872 წელს პარიზის პროლეტარიატი, საერთო კრიზისის დროს, თავგანწირულად შეებრძოლა კლასობრივ ბატონობას და ააფრიალა კომუნისტური დროშა.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ, რამდენადაც რევოლუციონური მოძრაობა გვიახლოვდება იმდენად ღატაკი, ეკონომიურად გაყვლეფილი ხალხი მეტის ენერგიით ცდილობს მოიშოროს თავიდან მყვლეფელები, მოსპოს კლასობრივი განხეთქილება. და ასე ისტორიულ მსვლელობაში სოციალისტური ელემენტი უფრო მრავლდება, ძლიერდება და ებრძვის მის დამმონავებელ რეჟიმს. ამავე დროს გაბატონებულთათვის თანდათან აშკარავდება, რომ მათი დამარცხების დრო მოახლოვებულია. ახალგაზდა ბურჟუაზიამ ადვილად გასრისა შეთქმულები 1797 წელს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო ძნელი გახდა მისთვის პარიზის კომუნის დამარცხება. აქ მთელი მოქალაქობრივი ომი ასტყდა, და ძმის სისხლში ამოთხუპნილმა ბურჟუაზიამ, თუმცა გაიმარჯვა, მაგრამ იდეურად მაინც დამარცხებული დარჩა იგი.

რუსეთის რევოლუციაც ვერ ასცდება საკაცობრიო მსვლელობას. თქმა არ უნდა, რომ დღესვე სოციალისტურ საზოგადოების განხორციელების მისწრაფება უტოპიაა. დღევანდელ რევოლუციისაგან შექმნილი სიკეთე უმთავრესად ბურჟუაზიას ჩაუვარდება ჯამში, ბურჟუაზია იქმნება გამარჯვებული. მაგრამ ეს გამარჯვება ვერ იქმნება ისეთი, როგორიც საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს. რუსეთში დღეს ბურჟუაზია გაიმარჯვებს სანახევროდ და არა სავსებით.

როცა დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზია პირველად გამოვიდა პოლიტიკურ სარბიელზე, მაშინ მას მარცხნივ ნაკლები შიში მოელოდა. პროლეტარიატი ჯერ კიდევ შეუგნებელ ძალას წარმოადგენდა, რომელიც ბურჟუაზიის დროშის ქვეშ მოქმედებდა. რუსეთში კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. აქ ბურჟუაზია იდეურად გამოფიტულია. მას აღარ შესწევს შემოქმედებითი ძალა. ის უფრო თავის თავის დაცვაზე ფიქრობს. რუსეთის დესპოტიზმის ფრთებს ქვეშ აღზრდილი, ის მოგვაგონებს უსინათლო ადგილას გაფურჩქნილ მცენარეს. მას არ შესწევს არც გამბედაობა და არც თავგამოდება. რუსეთის ბურჟუაზია მხოლოდ რევოლუციის შეჩერების ფიქრშია. და, ვინ იცის, ძალა რომ შესწევდეს, ისტორიის ჩარხის მობრუნება რომ შეეძლოს, იქნება კიდეც გასცვლიდა ახალს, მისთვის უცნობ მომავალს ძველ აბსოლუტიზმზე, რომელიც მასაც არ აძლევდა თავისუფალ განვითარებას, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდ სამოქმედო ასპარეზს უთმობდა. ერთ დროს მასთან ერთად პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის რუსეთის პროლეტარიატიც,—შეერთებული, შეგნებული და ბრძოლაში გაწვრთნილი. ცხადია, ეს პროლეტარიატი რუსეთის ბურჟუაზიას ფრთებს შეუკვეცს და, რაც ბურჟუაზიულ წყობილების ფარგლში მოსახერხებელია, ყველაფერს ხელიდან გამოაცლის. ის განახორციელებს რვა საათის სამუშაო დღეს, მუშათა დაზღვევას, საერთო, უფასო განათლებას და ბევრ სხვა რეფორმებს, რომელთა მიზანია მშრომელ ხალხის გაღონიერება. ამასთანავე დემოკრატია ეცდება ბევრ ქალაქებში „კომუნალური სოციალიზმი" გააძლიეროს, ქალაქების საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი წარმოებანი ქალაქებსვე წაამართვინოს და ამგვარად საბოლოო სოციალიზმს ნიადაგი მოუმზადოს.

რუსეთის რევოლუცია არაა მარტო პროლეტარიატის რევოლუცია, ის მოწინავეა, გზის გამკაფავია, მაგრამ მას გვერდში უდგას გლეხობაც. გლეხობა რუსეთის ხალხის უმრავლესობას შეადგენს და მისი ტაქტიკა და მისწრაფებანი მეტად საყურადღებოა. გლეხობის მოწინააღმდეგეს გამარჯვება ვერ ეღირსება მომავალ წყობილებაში.

გლეხობა არ წარმოადგენს ჯერ ერთს მჭიდროდ შეკავშირებულ, შეგნებულ ძალას. ეკონომიურის მხრივაც მას აკლია მთლიან, ერთეულ ორგანიზმის თვისება; მასში მოთავსებულია, როგორც მსხვილი ბურჟუა-მესაკუთრე, ისე სულ ან თითქმის სულ გაღატაკებული მოიჯარადრე, მოჯამაგირე და მუშა. მაგრამ გლეხობის უმრავლესობა მაინც ამ გაღატაკებულთა კატეგორიას ეკუთვნის და ამიტომაც გლეხობის პოლიტიკა ამ უკანასკნელთა პოლიტიკა იქნება.

რა სურს დღეს გლეხობას? მოსპობა თვითმპყრობელობისა და იმის მაგიერ დემოკრატიულ წყობილების დაარსება, ხალხის ბატონობის განმტკიცება. ამ მოთხოვნილებაში, ამ პოლიტიკურ მისწრაფებაში მას მხარს დაუჭერს მთელი დემოკრატიული რუსეთი. მაგრამ გლეხს მეორე სადარდელიც აქვს. მან უნდა მოსპოს ბატონყმურ-ფეოდალური ნაშთნი. როგორ შეუძლიან მას ამის შესრულება? მხოლოდ ერთის გზით: მთელი მიწა საერთო საკუთრებად უნდა გამოცხადდეს, მიწა უნდა ჩამოერთვას კერძო მესაკუთრეებს და ხალხს გადაეცეს. რანაირად? აქ ერთ საშუალებად ასახელებენ საკანონმდებლო გზას, ესე იგი მომავალ დამფუძნებელ კრებას, რომელმაც მიწა ხალხის საკუთრებად უნდა გამოაცხადოს. მაგრამ ეს გზა, ჩვენის აზრით, არაა მისაღები, მით უმეტეს, რომ ცხოვრება სულ სხვანაირად მოქმედებს. საჭიროა რევოლუციონური გზით მოიპოვოს ხალხმა მიწა. სადაც კი შესაძლოა, სადაც კი მას ძალა შესწევს, ახლავე უნდა გამოაცხადოს ხალხის საკუთრებად, როგორც სახელმწიფო, საუფლისწულო და საეკლესიო, ისე კერძო პირების ადგილ-მამულები. ასეთი მოქმედება მოუმზადებს ნიადაგს საკანონმდებლო კრებას, რომ მან მიწა სახალხო საკუთრებად გამოაცხადოს. საკანონმდებლო კრებული დააკანონებს იმას, რაც ცხოვრებაში განხორციელებული იქნება. ეს უზრუნველჰყოფს გლეხების მისწრაფებას. ხალხის მიერ მიწის დასაკუთრება კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს მიწა ფაქტიურად ხალხს შერჩება, არა, და ამიტომ აქვე უნდა მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები; მიწის სახალხო მფლობელობას ისეთი ორგანიზაცია უნდა მიეცეს, რომელიც ხალხს უზრუნველ-ჰყოფს კერძო დასაკუთრებისაგან, ხელიდან არ გამოაცლის შეძენილ საწარმოო იარაღს—მიწას.

ამნაირად გლეხების პროგრამაა: დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება და მთელის მიწის საზოგადო საკუთრებად გამოცხადება, მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა. ეს ისეთი მოთხოვნილებაა რომლის გარშემო რევოლუციონური გლეხობა თავს მოიყრის. ამასთანავე ამ გლეხობას ხელს გაუწვდის რევოლუციონური პროლეტარიატიც. საერთო რევოლუციონური ძალა კი შემუსრავს ყოველ მის მოპირდაპირეს.

ტ.

სახელმწიფო შემნახველი კასსები და ხალხი

მთავრობა გაზ. „კავკაზ"-ში ირწმუნება: „მავნე პირები" ცდილობენ სახელი გაუტეხონ მთავრობის შემნახველ კასსებს და ხალხს აქეზებენ, თქვენი ფული მალე გაიტანეთ, თორემ შეიძლება მთავრობა გაკოტრდეს და ფული დაგეკარგოსო. მთავრობა ამბობს ეს ხმები ტყუილი არისო, მთავრობას კასებში ფული საკმაოდ აქვს და სახელმწიფო ბანკს შესაფერი ზომები აქვს მიღებული იმისთვის, რომ ფული შეუწყვეტლად ეძლეოდეთ მსურველებსო.

ამ განცხადების მიუხედავად, გუშინ შემნახველ კასსებს აუარებელი ხალხი მიაწყდა, ყველა მიბარებულ ფულის დაბრუნებას ითხოვდა და კასსა იძულებული შეიქნა ფულის გაცემა შეეჩერებინა. მართალია, ბანკის მმართველი ირწმუნებოდა, ხვალ ისევე განვაგრძობთ ფულის გაცემასო, მართალია, შემნახველ კასსის წინ შეგროვილი პოლიციელები ხალხს ებაასებოდნენ საფინანსო საკითხების შესახებ და ამტკიცებდნენ, მთავრობას კიდევ „ბევრი" ფული აქვს შემონახულიო, მაგრამ ხალხი მაინც ხედავდა, რომ სახვალიოდ იწვევდნენ იქ, სადაც ფული ახლავე იყო საჭირო... ვინ იცის, რამდენი ღარიბ-ღატაკი გუშინ შინისკენ უფულოდ დაბრუნდა და მშიერი დარჩა...

დღემდის ყველას მთავრობის შემნახველი კასსები ფულის შესანახავად უშიშარი ბინა ეგონა, დღეს გამოჩნდა, რომ მთავრობას ყოველთვის არ შეუძლია საკმარისი ფული იქონიოს ყველას დასაკმაყოფილებლად, და თუ ზოგიერთები ამაზე საზოგადოების ყურადღებას მიაქცევენ, მთავრობა მათ „მავნე პირებს" ეძახის, თითქო ამ დაძახებას ნაღდი ფულის მაგიერობა შეეძლოს. ფულის პატრონს ფული უნდა კასსიდან და არა ტკბილი სიტყვები, და მხოლოდ ნაღდი ფულის შეუწყვეტლად გაცემას შეეძლო დაერწმუნებინა ხალხი, რომ მთავრობის კასსებს გაკოტრება არ ელის.

საამისო ეჭვს თავისი საფუძველი აქვს, ხალხმა იცის, რომ შემნახველ კასსების ფული, რომელიც კასსების წესდებით მთავრობის სხვადასხვა საჭიროებას არ უნდა მოხმარდეს, ნამდვილად იხარჯებოდა მანჯურიაში, სხვადასხვა საეჭვო სავაჭრო და სამრეწველო საქმეზე, რომელიც ახლა კაპიკის საღირალს არ წარმოადგენს; ხალხმა იცის, რომ კასსების ფულით მთავრობა ხელოვნურად ამაგრებდა სხვადასხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდების ფასს და რომ კასსებში შენახულ ფულის დიდი ნაწილი დაბანდულია იმ ქაღალდებში, რომლის ფასმაც ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად იკლო... ხალხმა იცის, რომ ამ ქაღალდების განაღდება ახლა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან არავინ არ ისურვებს იყიდოს ქაღალდები იმ მთავრობისაგან, რომელმაც ხალხს პირდაპირი ომი გამოუცხადა...

ამასთან ხალხმა იცის, რომ ყველა უარს აცხადებს გადასახადზე, რომ სახელმწიფო კასებში ფული არ შედის და რომ შორს აღარ არის დრო, როდესაც მთავრობას ფული გამოელევა თავის ყოველდღიურ ხარჯების გასასტუმრებლად...

ცხადია, რომ ამ პირობებში ხალხი ცდილობს სახელმწიფო ბანკიდან და სახელმწიფო კასსებიდან ფული მალე გამოიტანოს, რომ ხალხი კერძო ბანკს უფრო ენდობა, როგორც საზოგადო დაწესებულებას, და სახელმწიფოს კი უნდობლობას უცხადებს.

და განა მხოლოდ უბრალო ხალხი უყურებს ასე საქმის ახლანდელ მდგომარეობას? გაზეთები გადმოგვცემენ, რომ პეტერბურგსა და სხვა ქალაქებშიაც ყველა შეძლებული კაცი ცდილობს სახელმწიფო ბანკიდან ფული გამოიტანოს და იგი ან კერძო ბანკებში და ან საზღვარ გარეთ შეინახოს; რომ პეტერბურგის მოურავად ნამყოფმა ლელიანოვმა თავისი 3 მილიონი მანეთი გაიტანა, რომ თვით ნობელმა, ვაჭრობაში გამოცდილმა ნობელმა, თავისი მილიონ ნახევარი ნაღდი ფული მოითხოვა, იმის მიუხედავად, რომ ვიტტემ პირადად სთხოვა, ფული ისევე სახელმწიფო ბანკში შეინახეო.

რუსეთში კიდიდან კიდემდე ყველა სახელმწიფო ბანკების და კასსების კარზე დგას და მთავრობას ფულის დაბრუნებასა სთხოვს. პირველად მისულებს მთავრობა აკმაყოფილებდა, ახლა უკვე საჭიროდ სთვლის ხალხის დამშვიდებას მიმართოს, უნდობლობა „მავნე პირთაგან" მოგონილად აღიაროს, ზოგან კიდეც უძნელდება მთავრობას ფულის გაცემა და, ვინ იცის, შეიძლება რამოდენიმე დღის შემდეგ იგი უკვე იძულებული შეიქმნეს შემნახველ კასსებში მიბარებული ფულის პატრონები ხელ-ცარიელადაც გამოისტუმროს... ამის შიშით არის რომ ყველა ცდილობს სხვებს დაასწროს და ფული ახლავე გამოიტანოს, სანამ კასსებს ფულის დაბრუნება არ შეუწყვეტიათ.

„ფული, ფულიო,—გაიძახიან რუსეთში,—დაგვიბრუნოს შემნახველმა კასსებმა ის ფული რომელიც წვალებით შეგროვილი გვაქვს და რომელიც მთავრობამ შენახვის მაგიერად მანჯურიის მინდვრებში თავისიანების გასამდიდრებლად გაფლანგა"!

და მთავრობა, ყველგან ნდობა-დაკარგული, მთავრობა, რომელსაც უცხოეთში ფულს აღარავინ ენდობა, რომელსაც ხალხი გადასახადს აღარ აძლევს, რომელიც ყოველივე შემოქმედებით ნიჭს მოკლებულია, სანამ აქვს ზანდუკებში ფული, ყველას აკმაყოფილებს...

შესძლებს კი იგი დიდხანს ამნაირ მდგომარეობაში გაძლებას?..

ამბობენ, რომ მთავრობასს აზრად აქვს სამხედრო დიქტატურის შემოღებით უკმაყოფილოთა და მოწინააღმდეგეთა მოსპობაო... იგივე სამხედრო დიქტატურა სახელმწიფოს გაკოტრებას თავიდან ვერ ააშორებს, ვინაიდან არ შეუძლია სამხედრო დიქტატორს ფულის არარისაგან შექმნა... სასწაულების ჩვენ დროში არავისა სჯერა...

ვარ. ფ—ი.

რუსეთის გლეხობის წარმომადგენელთა კრება

(წერილი მოსკოვიდან)

6 ნოემბერს დაიწყო აქ მეტად შესანიშნავი და საყურადღებო კრება გლეხობის წარმომადგენლებისა, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა. ყველამ იცის, რომ თავისუფლება მუშა ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ მოუპოვა რუსეთს. ამ ბრძოლაში ქალაქის მუშებმა უფრო დიდი მონაწილეობა მიიღეს, ვიდრე სოფლელებმა. ახლა ეჭვი არავის არა აქვს, რომ რუსეთის პროლეტარიატი საკმაოდ განვითარებულია და ბიუროკრატიულ თვითმპყრობელ მთავრობასთან ბრძოლას იგი მანამდის არ შესწყვეტს, სანამ ამ მთავრობას ძირს არ დასცემს. მაგრამ გლეხები? გლეხებს სურთ მთავრობის დამხობა, თუ არა? რეაქციონერები ამბობენ, რომ რუსეთის იმპერიაში გლეხკაცობა უდიდეს კლასს შეადგენს და მხოლოდ მისი აზრი—ხალხის აზრია, მისი მოთხოვნილება—მთელი ერის მოთხოვნილებაო. რეაქციონერების აზრით, გლეხებს ფიქრადაც არ მოსდით, რომ საჭიროა კონსტიტუციური წყობილება, მათ მეტად უყვართ თვითმპყრობელი მეფე და არავითარ დამფუძნებელ კრებას ისინი არა თხოულობენ. რადიკალები და სოციალისტები კი წინააღმდეგს ამტკიცებენ. გლეხების წარმომადგენლების კრებას, სხვათა შორის, იმიტომაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ ამ კრე-

ბაზე უნდა გამომჟღავნებულიყო, ვინ არის მართალი—რეაქციონერები, თუ მათი მოწინააღმდეგენი?

ყოვლად შეუძლებელია ვრცლად გადმოგცეთ ყველა ის სიტყვები, რომელიც ამ კრებაზე წარმოითქვა. ვეცდები შეგატყობინოთ უმთავრესი აზრები ორატორებისა.

თავმჯდომარედ აირჩიეს კურნინი. კრებამ მოისმინა დელეგატების მოხსენება გლეხთა მოძრაობის შესახებ. პირველად დონის მხარის წარმომადგენელმა ილაპარაკა. ,,ამხანაგებო,—დაიწყო მან,—სიხარულით მივეგებოთ თავისუფლების განთიადს. დალუპვა ყველას, ვინც სვამდა და სვამს ხალხის სისხლს. ჩვენ მივაღწიეთ კონსტიტუციას. ძალა ჩვენს ხელშია. მოკლე ხანში ვეებერთელა ორგანიზაციები დაარსდება. გლეხებმაც გაიღვიძეს და ვაი პოლიციურ მთავრობას! ჩვენი მოვალეობაა ისეთი ორგანიზაცია დავაარსოთ, რომ გლეხობა წარმოადგენდეს ძლიერ მებრძოლ არმიას, რომელსაც წინ ვერ დაუდგება ვერავინ''.

შემდეგ დელეგატმა დაასურათა, დონის მხარეში მცხოვრებ გლეხობის მოძრაობა. მოძრაობა ამ მხარეში ძლიერია. ამ მოძრაობის განვითარებას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი. გლეხების დასამშვიდებლად გაგზავნეს კალმიკების ცხენოსანი რაზმი. მაგრამ ჯარმა გლეხებს დამშვიდება კი არ დაუწყო, არამედ დახმარებას დაჰპირდა იმ შემთხვევაში, თუ გლეხები მსხვილ მემამულეების მიწას დაისაკუთრებენ. მაშინ ადმინისტრაციამ დაინახა, რომ ძალით ვერას გაიტანდა, და ნება დართო გლეხებს შეკრებილიყვნენ და თავის საჭიროებაზე მოელაპარაკნათ. გლეხებმა ყველა სოფლებში მოახდინეს ყრილობა და ყველგან ერთი და იგივე გადაწყვეტილება მიიღეს: ვერავითარი რეფორმები ვერ გვიშველიან, თუ მთელი მიწა ჩვენს—გლეხების—ხელში არ გადმოვიდაო. რადგან რუსეთში დაარსდა „გლეხთა კავშირი'', რომელიც თავის დევიზად სახავს ,,მიწას და უფლებას'', ყველა სოფლებმა გარდაწყვიტეს, შეერთებოდნენ ამ კავშირს და საერთო კრებაზე თავისი დელეგატები გაეგზავნათ. ერთ ამისთანა კრებაზე, როდესაც გლეხებმა ასეთი გარდაწყვეტილება მიიღეს, ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ჰკითხა გლეხებს: მეფეს რაღა უყავითო? ჩვენ მეფეზე არა ვლაპარაკობთო,—უპასუხეს გლეხებმა. მაშინ ბ. მაზურენკომ, უმთავრესმა მოღვაწემ გლეხების ორგანიზაციის საქმეში, აუხსნა გლეხებს 17 ოქტომბრის მანიფესტი და დაუსურათა, რომ ადმინისტრაცია ამ მანიფესტით მოცემულ უფლებებს ფეხით სთელავს... ,,თქვენ მეფეს რაღა უყავითო'', ჰკითხა მაზურენკომ. მაშინ გლეხები გაბრაზებულნი წამოცვივდნენ და ადმინისტრაციის მოხელეებმა კრებაზე დარჩენას გაპარვა არჩიეს...

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კაზაკებიც სიამოვნებით უერთდებიან ,,გლეხთა კავშირის'' პროგრამმას.

ჩერნიგოვის გუბერნიის დელეგატმა მედვედევმა აუწერა კრებას აგრარული მოძრაობა ჩერნიგოვის გუბერნიაში. გლეხები ძალით ართმევენ მიწას მემამულეებს. დელეგატის აზრით, მოძრაობა მშვიდობიანი უნდა იყოს, საჭირო არ არის სისხლის ღვრა. „ის [illegible] და სხვის საქონლის მოტაცება, რომელიც ახლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, ჩირქსა სცხებს რუსის ხალხსო".

შემდეგ ბელორუსების დელეგატებმა უამბეს კრებას ამბები აგრარულ მოძრაობისა მათს მხარეში. ამათის აზრით, წინააღმდეგ ჩერნიგოველ დელეგატისა, მშვიდობიანი ბრძოლა შეუძლებელია. საჭიროა ხალხი შეიარაღდეს და ბრძოლით მოიპოვოს ის, რასაც თავის ნებით არავინ მისცემს. დელეგატებმა შეატყობინეს დამსწრეთ, რომ მღვდლები და ადმინისტრაცია მათ უკრძალავდნენ გლეხებისთვის იმ წიგნების კითხვასაც კი, რომლებიც ცენზურისაგან ნება-დართულია. გლეხები მიდიოდნენ დაბურულ ტყეში და იქ მალულად კითხულობდნენ ტოლსტოის თხზულებებს. ამ კითხვისთვის ბევრი ციხეშიაც ჩასვეს.

დიდის ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ბელორუსიის გლეხებმა ნაციონალური საკითხიც წარმოაყენეს და ძალიან ოსტატურად დაუკავშირეს იგი აგრარულ საკითხს. „ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ იმაში, რომ მთელი მიწა უნდა სახელმწიფოსი იყვეს, რომ სახელმწიფო მოვალეა მიწა სოფლის საზოგადოებებს მისცეს სასარგებლოდ, მაგრამ ჩვენი მხარე სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენში არ არსებობს საზოგადობრივი მიწათ-მფლობელობა, ჩვენში მიწის კერძო საკუთრებაა. ამიტომ საჭიროა გაირჩეს საკითხი: როგორ მოვახერხოთ, რომ კერძო საკუთრება მიწაზე მოვსპოთ იქ, სადაც კერძო მიწათ-სარგებლობა არსებობს? ეს კითხვა მეტად რთულია. მისი გარდაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას. ამიტომ, თუ გვინდა ჩვენი პრინციპი—მიწით თანასწორი სარგებლობა—ცხოვრებაში გავიყვანოთ, საჭიროა ჩვენს მხარეს მიეცეს სრული ავტონომია''. ამას ამბობდა უბრალო გლეხი.

სხვა დელეგატების მოხსენებათა გადმოცემა მეტია. იმათის მოხსენებიდან სჩანს, რომ გლეხები მთელს რუსეთში აღელვებულნი არიან. ზოგ ადგილას, როგორც მაგალითად სარატოვის გუბერნიაში, ნამდვილი აჯანყებაა. ამ გუბერნიის დელეგატები ამბობდნენ, რომ ყველა მხრიდან სარატოვის გუბერნიაში ჯარსა გზავნიანო. ,,მხარი დაგვიჭირეთ, — სთქვეს დელეგატებმა,—თორემ გლეხებს სულ ამოჟლეტავენ. მთელი რუსეთის გლეხობა კი რომ აჯანყდეს, მაშინ ჯარიც ვერაფერს გააწყობს,—გადარჩენა ჩვენი იქნება''.

დელეგატების შემდეგ ბიუროს წევრმა ილაპარაკა. მან სთქვა, რომ კრებაზე ნალაპარაკევიდან ნათლად სჩანს, თუ რას თხოულობს რუსის ხალხიო. ხალხი თხოულობს, რომ მიწა მიეცეს მთელს ერს, მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე. როგორ უნდა მოხდეს ესეთი ცვლილება? ამ კითხვას თვით ცხოვრება გარდასწყვეტს. ბევრგან გლეხები კითხვას ასე სწყვეტენ: თავადაზნაურობის მიწას ძალით ითვისებენ. ამ ამბავს შედეგად მოსდევს ჯარის გაგზავნა და სისხლის ღვრა. [illegible] გუბერნიაში ახლა საშინელი ამბები ხდება. საჭიროა, საქვეყნოდ გამოვაცხადოთ, რომ აგრარულ მოძრაობაში გლეხობა კი არ არის დამნაშავე, არამედ მთავრობა. თუ მთავრობას უნდა ხალხი დამშვიდდეს, საჭიროა დამფუძნებელი კრება მოიწვიოს, არჩეული მთელის ხალხისაგან საყოველთაო, თანასწორი, დახურულ და პირდაპირ კენჭის ყრით. ვ. ნ.

მთავრობა და პრესის თავისუფლება

გამოაცხადეს თუ არა 17 ოქტომბრის მანიფესტი, ჩვენ მაშინვე ეჭვის თვალით შევხედეთ ბიუროკრატიის-მიერ ნაბოძებ „თავისუფლებას" და აღვნიშნეთ, რომ ბოროტებით სავსე რუსეთის ბიუროკრატია ადვილად არ დასთმობს პრესის თავისუფლებას და ამ უძლიერეს იარაღს თავის მოპირდაპირეს—გამოფხიზლებულ ხალხს—თავის ხელით არ გადასცემს. მაშინვე მივხვდით, რომ ეს მოხერხებულ ვიტტეს ეშმაკობა იყო, თავისიანებისა და უცხოელების მოსატყუებლად მოგონილი.

მაგრამ ვიტტეს მოხერხებულობამ ამ შემთხვევაში ვერ გასჭრა. რუსეთის პრესსამ დაუყოვნებლივ მოინდომა მანიფესტის განხორციელება და თავი მართლა გაინთავისუფლა. მაშინ თავზარეული მთავრობა შეკრთა და გაუბედავად ხვეწნა დაიწყო, მოიცადეთ, გვადროვეთ, მანიფესტის თანახმად ახალ კანონ-პროექტს შევიმუშავებთ და მწერლობის თავისუფლებას დავაკანონებთო. მთავრობის დაპირებამ და მუქარამ ვერ გასჭრა, პრესსამ ძალით მოპოვებული თავისუფლება არ დასთმო. მთავრობა პრესსის თვითნებობას დიდხანს ვერ აიტანდა და გაცხარებით შეუდგა „თავისუფლების" კანონ-პროექტის შედგენას, რომლითაც პრესსას მახეს უმზადებდა. პრესსამ ძალიან კარგად იცოდა, რა „თავისუფლებაც" გამოვიდოდა მთავრობის ხელიდან, და წინადვე პროტესტს აცხადებდა. აი, რა აზრისა იყო ამ თავისუფლების გამო გაზეთი „სინ ოტეჩესტვა":

,,რუსეთის განთავისუფლებას დიდი განსაცდელი მოელის. რუსეთის აზროვნება, რომელიც ძლივს აეშვა და განთავისუფლდა, ხელახლად საცენზურო გალიაში უნდა ჩაჰკეტონ და ადმინისტრაციის თვითნებობას დაუმორჩილონ. ჩვენი მმართველი წრეები მუდამ გვატყუებდნენ და ახლაც მთავრობა ვერაგულად გვათათბირებს, პრესსის თავისუფლების განსამტკიცებელი კანონ-პროექტი უკვე შევადგინეთო. ნამდვილად კი მთავრობა, თავისუფლების განმტკიცების მაგიერ, მის შებოჭვა—დამონავებასა სცდილობს. დროებითი კანონი მწერლობის განსათავისუფლებლად კი არ მოიგონეს, არამედ მის შესავიწროებლად. აქამომდე აღთქმულ და გამოცხადებულ თავისუფლებათა შორის ჩვენ მხოლოდ მწერლობის თავისუფლება განვახორციელეთ. პიროვნების ხელუხლებლობა კი, პირიქით, ცოტადაც ვერ მოგვიპოვებია: კაზაკებისა და ჟანდარმების თავდასხმა და ძალმომრეობა აქამომდე ვერ მოგვიგერებია; ჩვენი პიროვნების ხელუხლებლობა ცოტადაც უზრუნველ-ყოფილი არ არის. ვიტტეს მთავრობას დრო ვერ ჩაუგდია, რომ პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტი შეიმუშაოს და იმისთვის კი დრო საკმარისად ჰქონია, რომ წაგვართვას პრესსის თავისუფლება, რომელიც ჩვენ სავსებით განვახორციელეთ. აქამომდე არ მოსპობილა გაძლიერებულ დაცვის, სამხედრო წესებისა და სამხედრო სასამართლოების მოქმედება,—ეს სულ იმიტომ, რომ მთავრობას საკმარისი დრო არა აქვს ახალ კანონ-პროექტების შესამუშავებლად! და იგივე მთავრობა ცდილობს ახალის კანონებით ძველებურად დაგვიმონაოს, მცირედი თავისუფლებაც მოგვისპოს. ამ ახალ შეთქმულებას რუსეთის განთავისუფლებულ აზროვნების წინააღმდეგ, — დარწმუნებული ვართ, — რუსეთი ღირსეულ პასუხს გასცემს. მწერალთა კავშირმა უკვე განაცხადა, რომ პრესსა თავის უფლებას არ დასთმობს და ფაქტიურად ისევ თავისუფალი იქმნება, მთავრობამ თავისი პროექტი რომ დააკანონოს კიდეც. ამაზე მეტი მწერალთა კავშირს აღარა შეუძლიან-რა. მაგრამ, მწერალს გარდა, მკითხველსაც შეუძლიან ხმა ამოიღოს, და პრესსაც მთავრობის დადგენილებას სწორედ ამ მკითხველთან განასაჩივრებს. ჩვენ მივმართავთ ყველა მოაზრესა და მკითხველს, მთლად წერა-კითხვის მცოდნე რუსეთს და მტკიცედ გვწამს, რომ, თუ ეხლანდელი დროებითი მთავრობა გაკადნიერდება და გაჰბედავს კანონის სახით ხელი შეახოს ერთად-ერთს ძალად მოპოვებულ და განხორციელებულ თავისუფლებას, ეს კანონი უქმად დარჩება და ვერავითარ ძალას ვერ გამოიჩენს".

იმ დროს, როდესაც ფოსტა-ტელეგრაფი არ მოქმედობდა, ბიუროკრატიას თავისი პროექტი პრესსის ,,განთავისუფლების'' შესახებ სახელმწიფო რჩევისთვის წარუდგენია, და რჩევას, რასაკვირველია, მოუწონებია. პროექტი უმაღლესადაც დამტკიცებულა და კანონად ქცეულა.

ამ ახალის კანონით მთავრობა ცდილობს გააქარწყლოს ის თავისუფლება პრესსისა, რომელიც ამჟამად ფაქტიურად არსებობს. ამ მიზნით კანონში შეტანილია ისეთი მუხლები, რომელთა ასრულებაც შეუძლებლად გახდის აზრის თავისუფლად გამოთქმასა და გავრცელებას. აქაც მთავრობა იმასვე ეუბნება პრესსას, რასაც წინად ეუბნებოდა: თავისუფალი ხარ სწერო და იქადაგო ის, რაც მე მომწონს, რაც არსებულ წესწყობილებას შეეთანხმებაო. ყველა სახელმწიფოებში, სადაც კი ნამდვილი საკონსტიტუციო წყობილებაა შემოღებული, პრესსის დანაშაული საერთო სისხლის სამართლის კანონით ისჯება და განსაკუთრებული კანონები პრესსის შესახებ არაა დაწესებული. ვიტტეს სამინისტრო კი მანიფესტის მეორე დღესვე იმაზე ფიქრობს, რომ პრესსას განკერძოებული, მისი თავისუფლების შემბოჭველი კანონები შეუქმნას და მით მისი ძალა შეასუსტოს.

ახალი კანონი უფლებას აძლევს ადმინისტრაციის ორგანოებს, ,,დაატყვევონ'' და აკრძალონ ცალკე ნომრები ჟურნალ-გაზეთებისა; პრესსას არა აქვს უფლება შეეხოს ისეთ მწვავე საკითხებს, როგორიცაა მუშათა გაფიცვა, რკინის გზასა, ტელეგრაფსა და ტელეფონზე მუშაობის შეჩერება, სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურთა გაფიცვა, სასწავლებლებში სწავლის შეჩერება და სხვ.; პრესსის დანაშაულს არჩევს და სჯის არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არამედ ჩინოვნიკებისაგან შედგენილი სასამართლო, რომელსაც უფლება ეძლევა არა, თუ დასაჯოს რედაქტორი, არამედ შეაჩეროს და სრულიად მოსპოს კიდეც ბეჭდვითი სიტყვის ორგანო. ცენზურაც კი არ არის სავსებით მოსპობილი,—დატოვებულია ცენზურა განცხადებებისა, იმპერატორის ოჯახის შესახებ ცნობებისა და სხვ.

ასეთია ვიტტეს სამინისტროს მიერ დაკანონებული ახალი ,,თავისუფლება''.

მაგრამ, ეჭვი არაა, ეს კანონი მარტოოდენ ქაღალდზე დარჩება და ცხოვრებაში ვერ განხორციელდება. ხალხი არ დაუთმობს ბიუროკრატიას იმ თავისუფლებას, რომელიც მან ბრძოლით მოიპოვა ,,კავშირი პრესსის თავისუფლების დასაცველად'' აცხადებს, რომ იგი არას დროს არ დასთმობს ბრძოლით მოპოვებულ 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ უფლებას და, მიუხედავად ახალის კანონისა, მერმისშიაც მალე ფაქტიურად განახორციელებს პრესსის თავისუფლებას

ჰ.

* * *

წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე

(შემდეგი.—იხ. „ივ." № 218).

სამი საათი იქნებოდა, მე ფოსტაში ვიყავი. უცებ შემოვარდა ერთი პატარა გიმნაზიელი და დაიძახა,—სროლა ასტყდაო. მე მაშინვე წავედი და მაღლობიდან გადავხედე რეიდს.

შუა რეიდში იდგა ერთი კატერი და ორთქლავდა ისე, რომ აღარც-კი სჩანდა. თურმე, როგორცა სთქვეს, იმ კატერით იარაღი მიჰქონდათ „პატიომკინზე". როცა ეს დაინახა იქვე მდგომმა მეორე ხარისხოვანმა კრეისერმა „ტერეცმა", რომელიც არ მიემხრო „ოჩაკოვს", მაშინვე ესროლა გამოუცხადებლად. ყუმბარა ჩავარდნილიყო შუაში და ორთქლის ქვაბი გაეხეთქა. რამდენიმე მატროსი მომკვდარიყო და რამდენიმეც დაჭრილი გადაერჩინათ.

ამ დროს გაისმა ქალაქის ბოლოში, საისტორიო ბულვარზე, ზარბაზნის გრიალი. ხალხი შეშინდა და სულ გაიფანტა, მაგრამ ისევ ჩქარა მობრუნდა.

მეორედ გავარდა ზარბაზანი და ყველა შიშმა მოიცვა.

გავარდა მესამედ და რეიდის ბოლოში მდგომ გემებმა წითელი დროშები ჩამოუშვეს.

ეს, თურმე, იმის ნიშანი იყო: თუ არ დაგვნებდებით, სროლას დავიწყებთო.

წითელი დროშის ქვეშ დარჩნენ მხოლოდ ,,ოჩაკოვი'', ,,პატიომკინი'', სამი ნაღმოსანი და კონტრ-ნაღმოსანი.

როცა „ოჩაკოვმა" გაიგო თავის მატროსების დაღუპვა, მაშინათვე გამოგზავნა კონტრ-ნაღმოსანი ,,სვირეპი'', რომ ,,ტერეცი'' აეფეთქებინა.

როცა ,,სვირეპი'' მიუახლოვდა ,,ტერეცს'', ჩასდო აპარატში ნაღმი და უმიზნებდა, რომ კარგად მოხვედროდა. თურმე ,,როსტისლავიდან'' ყველანი ამას ადევნებდნენ თვალს.

იგრიალა ,,როსტისლავიდან'' ზარბაზანმა და ერთ წამში ,,სვირეპი'' კვამლში და ორთქლში დაიმალა. კამანდის მეტი წილი დაიხოცა, მცირეოდენი კი გადარჩა ცურვით.

დაიწყო ყოველის მხრიდან ზარბაზნების სროლა. იქვე მიცურავდა „ოჩაკოვის" ნაღმოსანი. ეს რომ დაინახეს, დაუწყეს ყოველ მხრიდან სროლა; იმათაც სროლით უპასუხეს, ექვსი-შვიდი გასროლის მერე ნაღმოსანი გაჰქცეულიყო „ოჩაკოვისკენ", რადგან ყუმბარები აღარა ჰქონდა. მე კი ამ დროს გავეშურე ბულვარზე, სადაც იდგა „ოჩაკოვი" და „პატიომკინი", რომ მეყურებინა, თუ როგორ მოქმედებდნენ. ჩქარა ოთხი საათიც გახდა და შემობინდდა. ისეთი მრისხანე

ფელეტონი

ძირს!

ძირს მთავრობავ, უსამართლო!
„ვეღარ ვიტანთ გასაჭისო!"—
ყოველის მხრივ გეძახიან—
„ძირს მთავრობავ!... აწ კი ძირსო"!..

—

კმარა ისიც, რაც ვითმინეთ,
გვიმატებდი ჭირზე ჭირსო;
ის აღარ ვართ, რაც ვიყავით,
გავიღვიძეთ და აწ—„ძირსო"!

—

ძირს მთავრობავ, უსამართლო!
„ვეღარ ვიტანთ გასჭირისო"! და სხვ.

—

ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით
უხვად რწყავდით ქვეყნის პირსო.
დღეს ეს აღარ მოხერხდება,—
გეუბნებით მიტომ—„ძირსო"!

—

ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..
ძველი წესი-წყობილება
ბნელს გაჰყვება და შენ—„ძირსო"!

—

შენგან, ძალა-უნებურად,
არ მოველით დანაპირსო;
ჩვენ მოუელით ისევე ჩვენს თავს
არ გვინდიხართ, „ძირს და ძირსო"!

—

ძალას ჰკარგავ, ის გაწუხებს,
აღარ გიხსნის დანა პირსო,
მაგრამ რა ვქნათ? ქვეყნის ტანჯვას
სჯობს, იტანჯო ერთმა—„ძირსო"!

—

ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს!—
ვეღარ ასდებ აწ აღვირსო...
ყოველის მხრივ შეგძახიან:
„ძირს მთავრობავ! ძირს და ძირსო"!

აკაკი.

სამხედრო უწყება

წერილი მესამე

აფიცრების უმეტესი ნაწილი, თითქმის ცხრა მეათედი, სწავლას იღებს საიუნკრო სასწავლებლსა და კადეტთა კორპუსებში. არავითარი წარმოდგენაც რომ არა გვქონდეს ამ სასწავლებლებზე, რომ არ ვიცოდეთ, რას ასწავლიან იქ, რა პრინციპებზე ზრდიან მომავალ აფიცრებს, საკმარისია გავიხსენოთ 22 ოქტომბერი, როდესაც იუნკრები და კადეტები—ეს შინაურ და გარეულ მტერთაგან „სამშობლოს დამცველნი" დაუფარავად გამოვიდნენ ქუჩაში განთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ და „ურას" ძახილითა და ძალმომრეობით ყველას დაუმტკიცეს ,,სამშობლოს ერთგულება'', ხოლო როდესაც საქმე ხოცვასა და ძარცვა-გლეჯაზე მიდგა, ღირსეულ მთავრობის ამ ღირსეულმა შვილებმა ისეთი უნარი და მამაცობა გამოიჩინეს, რომ მათი სახელები შავი ასოებით ჩაიწერება ისტორიაში და მომავალი თაობა არა ერთხელ და ორჯელ ჩაუფიქრდება მათ მიერ ჩადენილ საზიზღარ საქმეს.

ეს ახალგაზრდობა, რომელიც ქუდ-მოხდილი მოდიოდა ქუჩაში და ვინც მათებრ ქუდს არ მოიხდიდა, ყველას სცემდა, ეს ყმაწვილები, რომლებიც დაერივნენ სახლებში უიარაღო, მშვიდობიან მცხოვრებთ, ზოგი დახოცეს, ზოგიც გაძარცვეს,—ესენი ხვალ, ან ზეგ აფიცრის პაგონებს დაიკერებენ და დადგებიან ჯარის კაცთა მასწავლებლებად. რას ასწავლიან ისინი? რა მაგალითს მისცემენ ისინი ჯარის კაცთ? როგორ აღზრდიან, რა გრძნობებს შთაუნერგავენ გულში? ამის ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, ეს ადვილი წარმოსადგენი და ადვილი გასაგებია.

ვინ შედის სასწავლებლად იუნკერთა სასწავლებელში? სხვადასხვა სასწავლებლების მესამე კლასებიდან გამოგდებულნი, რომლებიც დაწანწალებენ ქუჩებში ერთი-ორი წელიწადი, აღარც სასწავლებელში, არც სამსახურში არსად არ იღებენ და იძულებულნი არიან ამ სასწავლებელს შეაფარონ თავი. რას ასწავლიან იქ? რა უნდა ასწავლონ ბიუროკრატიულ რეჟიმში აღზრდილმა მასწავლებლებმა ორი წლის განმავლობაში, ისიც სამხედრო სასწავლებელში? ნაცვლად ამისა ამ ნაყარ-ნუყარ ახალგაზრდებს გაატარებენ სისასტიკის ქარცეცხლში, ასწავლიან ადამიანის ხორცის ჭამას, სულის ჩაგვრას, პიროვნების გათახსირებას, აქცევენ მხეცად, ინკვიზიციის იარაღად და აძლევენ ყველა უფლებებს საბრალო ჯარის კაცებზე.

უნდა ნახოთ და კარგად დააკვირდეთ ახლად გამომცხვარ აფიცრის მოქმედებას! გუშინ ის იყო დამცირებული არსება, რომელსაც აგინებდნენ, ლანძღავდნენ, ბავშვივით სჯიდნენ, ადამიანად არა სთვლიდნენ, დღეს ის არის რამდენიმე ასი ათასი სალდათის უფროსი, ბატონი, მბრძანებელი. მას შეუძლიან ისევე აგინოს და ლანძღოს, როგორც მას აგინეს და ლანძღეს, ისევე დასაჯოს, როგორც მას სჯიდნენ. გუშინ მას ძალად არავინ აგდებდა, ხელსაც კი არავინ ართმევდა, ქუჩებში გიჟივით თვალებს აბრიალებდა, ,,ჩესტის'' გაკეთება არ გამოჰპარვოდა, დღეს კი ყველა პატივისცემით ეპყრობა, ახლა ,,ჩესტს'' იმას უკეთებენ. გუშინდელი ამხანაგი დღეს მისი ხელქვეითია, გუშინდელი უფროსი დღეს მისი ამხანაგია. ერთის სიტყვით, ასეთი უცნაური გადახალისება ზღაპრებშიაც არ თქმულა.

ის დადის როგორც სიზმარში. სინამდვილე არ სჯერა. ვაი, იმისი ბრალი, ვინც დროზე „ჩესტს" არ გაუკეთებს! ვაი, იმ სალდათის ბრალი, რომელიც მის დანახვაზე ცახცახს არ დაიწყებს! სალდათთან ლაპარაკის დროს, მრისხანე სახეს მიიღებს, უშვერის პირით ლანძღავს, ჩამოუთვლის დაწვრილებით, რაც კი სამხედრო წესდებით სასჯელის მიყენება შეუძლიან. რამდენიმე წუთს სტკება მოცახცახე სალდათის სანახაობით და შემდეგ ეტყვის: пшшолъ!

ყველაზე მეტად სალდათებს ახალგაზრდა აფიცრები ეჯავრებათ და გასაკვირველიც არ არის. რასაც ძველი აფიცერი სალდათს აპატიებს და მის ,,დანაშაულობას'' ყურადღებას არ მიაქცევს, ახლად გამომცხვარი აფიცერი ,,რაპორტს'' დასწერს და სამართალში მისცემს. ძველი აფიცრები სწავლის დროს მაინც ელაპარაკებიან ხოლმე სალდათს ადამიანურად, ახლები კი ლაპარაკსაც არ კადრულობენ, ზიზღით უყურებენ სალდათს და ,,здорово, братцы'' რომ ეტყვიან, ზედ გინებასაც დააყოლებენ ხოლმე.

შემდეგ ყმაწვილი აფიცერი, ასე თუ ისე, ეჩვევა ამ გადახალისებას, პაგონები და სალდათების ,,ჩესტი'' მას ისე აღარ ართობს და სულით და გულით სამსახურს აძლევს თავს. აქედან იწყობა თვალთ-მაქცობა, კუდის ქიცინი, რათა უფროსის ყურადღება და წყალობა დაიმსახუროს, ერთი-ერთმანეთში ქიშპი, ძირის გამოთხრა და სხვა ამ გვარი იარაღი „ჩინებისა" და კარგ ,,დანიშნულებათა'' მისაღებად.

რა იდეალი აქვს აფიცერს?—გენერლის ჩინი. რას ესწრაფვის?—ჯერ როტის მიღებას, შემდეგ ბატალიონისას, მერე პოლკისა, ან ცალკე ბატალიონისა, ე. ი. პოლკოვნიკის ჩინის მიღებას, შემდეგ კი, თუ სამსახურში გენერლობას ვეღარ მიაღწია და იძულებული გახდა, სამსახურს თავი დაანებოს, გენერლობას მაინც მიიღებს. ცხოვრების რა საკითხები აწუხებს მას? მხოლოდ ის, რაც შეეხება მისს პოლკს, როტას და პოლკის უფროსს. რას ჰკითხულობს ყოველ-დღე აფიცერი? პოლკის ,,პრიკაზებს'' (ბრძანებებს). რა ფიქრები აწუხებს აფიცერს სამსახურს გარეშე? თუ ცოლიანია—ოჯახობა, თუ უცოლო—ქალები, ცეკვა, ღვინო, ბანქო და სხვა ამ გვარი გასართობი.

რასაკვირველია, ყველაზე ეს არ ითქმის, არიან მათ შორისაც ისეთებიც, რომლებიც თვით განვითარების გზას ადგანან, ჰკითხულობენ, რამე საგანს სწავლობენ, თვალსა და ყურს ადევნებენ, რაც დედამიწის ზურგზე ხდება, მაგრამ ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ პირს დააღებთ და გაკვირვებით შეხედავთ, ამგვარი აფიცერი თუ შეგვხვდება ცხოვრებაში. აფიცრის პირიდან რაიმე საგანზე (სამხედრო სამსახურის გარდა, თუმცა აქაც კი კოჭლობენ ძალიან) მსჯელობის გაგონება ისე გაგიკვირდება როგორც გაუკვირდება ხოლმე დედას, ბავშვი რომ პირველად ტიკტიკს დაიწყებს.

ეს ბევრგვარ პირობებით აიხსნება. სამხედრო უწყებაში გამეფებული ბიუროკრატიული რეჟიმი ყოველი ღონისძიებით სცდილობს, სამხედრო პირნი მთელს ქვეყნიერებას მოსწყვიტოს, პატარა, განსაკუთრებული მსოფლიო შექმნას, რათა ყოველი სამხედრო კაცი, გენერლიდან დაწყებული უკანასკნელ სალდათამდე, ბრმა იარაღად გაიხადოს და ისე მოიხმაროს, როგორც მას სურს. ბიუროკრატიის აზრით, თუ აფიცერი ანუ სალდათი მსჯელობას დაიწყებს, მაშინ ის ვეღარ გამოიყენებს მას, როგორც გარეულ, ისე შინაური მტრის დამარცხებისათვის.

„ჭკუას ძალას ნუ დაატან, რაც გიბრძანოს უფროსმა, ის შეასრულე", აი, რას ეუბნებიან სიტყვით და საქმით ყოველს სამხედრო კაცს. ბოლოს და ბოლოს თუ უფროსი სულელია თაობითვე, ან იმ მოკლე ხანში გაგიჟდა, ყოველი მისი სულელური ბრძანება დაუყოვნებლივ და შეუცვლელად უნდა ასრულდეს.

გამოჩენილი სარდალი სუვოროვი პოტემკინს ექვემდებარებოდა, რომელიც შეიძლება კარგი ადმინისტრატორი იყო, მაგრამ, რაც შეეხება სარდლობას, ღმერთმა ჩვენი მტრის ჯარიც დაიფაროს მის უფროსობისაგან. სუვოროვი გაჩერებული იყო ერთ ციხესთან, მგონი, ტურტუკაისთან, პოტემკინმა გულში გარდასწყვიტა, რომ ამ ციხის აღება მეტად ძნელი საქმეა, უბრძანა სუვოროვს: მიცადე, მე წავალ პეტერბურგს, დიდ-ძალ ჯარს მოგაშველებ და ციხეზე იერიში მაშინ მიიტანეო. პატემკინი წავიდა, სუვოროვი კი გრძნობდა, რომ ციხის აღება ადვილი იყო. გულმა ვეღარ მოუთმინა, ერთს მშვენიერს დღეს მიიტანა იერიში, და რამდენიმე საათის განმავლობაში აიღო. მოუკლეს მხოლოდ რამდენიმე სალდათი. სუვოროვი სამართალში მისცეს უფროსის ბრძანების აუსრულებლობისათვის და დიდი სასჯელიც მოელოდა, მაგრამ, ეკატერინე მეორემ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დააწერა: „Побѣдителей не судятъ" (გამარჯვებულებს არ ასამართლებენ) და სუვოროვი გადარჩა სასტიკ სასჯელს.

აი, მეორე დამახასიათებელი მაგალითიც: ერთ სოფელში ღამის გასათევად გაჩერდა დრაგუნთა ერთი ესკადრონი. ესკადრონის უფროსი სტუმრად ერთს მემამულესთან წავიდა და ვახმისტრს უბრძანა, ცხენებისთვის სოფელში თივა ეშოვნა. პატარა ხანს უკან, ვახმისტრი მივიდა აფიცერთან და მოახსენა: თივა კი ვიშოვნე, მაგრამ ძალიან ძვირად აფასებსო?—როგორ ძვირად?—ფუთი სამ აბაზად—ვინ არის?—ურია. აფიცერი ჩაფიქრდა, ბოლოს უთხრა: რა ვქნათ, გამოართვი თივა, ხოლო ის ურია ჩამოარჩე, ეგრე ძვირად რომ ჰყიდისო. ვახმისტრი წავიდა. პატარა ხანს უკან დაბრუნდა და მოახსენა: თქვენო მაღ-ბავ, თივა გამოვართვი, ურია კი ჩამოვარჩეო.—როგორ თუ ჩამოარჩე?—ჰკითხა გააფთრებულმა უფროსმა—ისე რომ, ერთი საათი იქმნება, რაც თოკზე ჩამოკიდებულიო!

როგორ გგონია, მკითხველო, რა სასჯელი მიიღო აფიცერმა ამ სულელურ ბრძანებისთვის? მიიღო... პოდპოლკოვნიკობა (როტმისტრი იყო) და ხელმწიფის მადლობა! საქმე ისე დაგიყენებია, რომ შენი ხელქვეითნიც შენს სულელურ ბრძანებასაც კი მტკიცედ ასრულებენო.

იქნება ბევრმა სთქვას ამაზე, რომ სამხედრო დისციპლინა ამას მოითხოვს, რომ თუ ეს ასე არ იქმნება, ჯარში დეზორგანიზაცია მოხდება და სამხედრო ტაქტიკა თავის მიზანს ვერ მიაღწევსო, მაგრამ გაითვალისწინეთ რუსეთ-იაპონიის ომი, ჩაუკვირდით კარგად იმ მიზეზებს, რამაც დაამარცხა რუსეთი და რამ გამოიყვანა გამარჯვებული იაპონია. იმან, რომ რუსის სალდათს სულ მუდამ ჩასძახოდნენ: не разсуждай! იაპონიის სალდათს კი მუდამ ეუბნებოდნენ: უფროსი უფროსად, მაგრამ შენც მოისაზრე, როგორ და რანაირად გიჯობს საქმეო. აქ მთელი ომის ბედი მარტო ერთ კუროპატკინზე იყო დამოკიდებული, იქ კი ყოველ აფიცერზე და თითქმის ყოველ სალდათზედაც. რუსის აფიცერი ისეა მიჩვეული სხვის ბრძანებას, ისეა გათახსირებული მისი პიროვნება, რომ თუ უფროსმა არ უბრძანა, მთელი ჯარის ქონებას რომ ცეცხლი ეკი-

ბუნება იყო, თითქოს ქვეყანა იღუპებაო. შავმა ღრუბელმა ჩამოაბნელა მთელი ქალაქი.

ჩქარა მივედი ბულვარში. რა საშინელი სანახაობა იყო! ოთხი მხრით გაჰქონდა ზარბაზნებს გრიალი, ისროდნენ ისტორიოულ ბულვარიდან—პასუხ აძლევდნენ ეკიპაჟიდან; ისროდნენ „ოჩაკოვისკენ“ ყველა ჯავშნოსნები *), ისროდნენ ჩრდილოეთის ბატარეიდან და „ოჩაკოვიც“ ისროდა, მაგრამ არ იცოდა, ვისთვის მიეცა ნამდვილი პასუხი.

ყუმბარები ცაში წითელ ზოლებს ავლებდა.

,,ოჩაკოვიდან'' გაისროლეს რამდენჯერმე; ყუმბარებმა თავზე გადაგვიქროლეს. ისინი ისე მძლავრად აპობდნენ ჰაერს, რომ მათი შხუილით შეშინებულნი იქვე ხიდქვეშ მივიმალეთ, თუმცა ის ვერ დაგვიფარავდა ყუმბარებისაგან.

მოვიხედეთ და იქვე, ჩვენს ახლო, ნაპირთან იდგა ერთი ნაღმოსანი, ძალიან დაზიანებული, და ჰბოლავდა. მატროსები გადმოცვივნილიყვნენ წყალში და ჩვენსკენ მოეშურებოდნენ ცურვით.

ჩვენ მაშინვე გამოვცვივდით ხიდის ქვეშიდან და გავექანეთ მატროსების საშველად.

ვინც მოცურდებოდა ნაპირთან, ხელად ვხდიდით სველ ტანისამოსს და ზოგს პალტოს ვაძლევდით, ზოგს ხალათს და სხვ. ბევრი დაჭრილი იყო და ძლივს მოაღწიეს ნაპირამდის.

ზარბაზნები კვლავ გრიალებდნენ.

უცებ დავინახეთ, რომ ,,ოჩაკოვზე'' ავარდა ბოლი. ჯერ ზარბაზნების ბოლი გვეგონა, მაგრამ, როცა ცეცხლი დავინახეთ, დავრწმუნდით, რომ ყუმბარა ჩავარდნილიყო ჯავშნოსნის შუა ნაწილში.

„ოჩაკოვიდან“ მატროსები ერთბაშად წყალში გადმოხტნენ და ცურვით ნაპირისკენ გამოსწიეს.

„ოჩაკოვიდან“ ნაპირამდის ზღვა სულ გაივსო მატროსებით. ბინდ-ბუნდში მხოლოდ მატროსების თავებს ვხედავდით.

ყოველი მხრიდან გაისმოდა კვნესა. ყველა შველას თხოულობდა; ისმოდა შესაძრწუნებელი ხმები:

— „Товарищи, помогите“!

ბევრი დაჭრილი იყო. როგორც ეტყობოდა, ისინი ხმას ვეღარ იღებდნენ და მხოლოდ კვნესოდნენ სასიკვდილოდ.

მათი საზარელი კვნესა ,,ოი, ოიო'', თანდათან სუსტდებოდა. ხმაზე ვატყობდით, რომ პირში წყალი უგუბდებოდათ და იღრჩობოდნენ!

რადგანაც ,,ოჩაკოვი'' ნაპირიდან 80 საჟენზე მაინც იდგა, მატროსები დიდხანს უნდებოდნენ ნაპირამდის მოსვლას.

იქვე „ოჩაკოვიდან“ მოდიოდა ერთი ბარკასი, მატროსებით სავსე, იქნებოდა 10—12 კაცი. ამათ ესროლეს, როგორც ეტყობოდა, „როსტისლავიდან“ და მთელი ბარკასი ააფეთქეს თავის მატროსებით.

ჩვენს ახლო, ნაპირთან, იდგა პატარა ფილუგა. ჩვენ გავეშურეთ იმისკენ, რომ მატროსებს მივეშველებოდით.

რამდენიმე მატროსმა მოასწრო ფილუგაზე ასვლა და, მიუხედავად იმისა, რომ სულ სველი და მოქანცულნი იყვნენ, საჩქაროდ მოუსვეს ნიჩბებს და გაეშურნენ სხვა მატროსების გადასარჩენად.

ირგვლივ კვლავ ზარბაზნების საშინელი გრიალი ისმოდა, ზღვაში ჩაცვივნული მატროსები გულშემზარავის ხმით თხოულობდნენ შველას. ჩვენ ვიტანჯებოდით, გული გვიკლავდა მათი კვნესა, მაგრამ უსარგებლონი ვიყავით მათთვის.

ჩვენი ფილუგა გამობრუნდა უკან. ყუმბარების შეგვეშინდა. ნაპირს მივაშურეთ რამდენიმე გადარჩენილ მატროსით.

,,ოჩაკოვზე'' ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ იქ ჯერ მაინც კიდევ იყო ხალხი. დავინახეთ, რომ ,,ოჩაკოვსა'' და ,,პატიომკინზედაც'', წითელი დროშის მაგივრათ, თეთრი ბაირაღები გაეშალათ შერიგების ნიშნად, მაგრამ სროლა მაინც გაგრძელდა რამდენიმე ხანს. ამბობდნენ, ,,პატიომკინმაც“ გაისროლა რამდენჯერმე თორმეტ დიუმიანი ზარბაზნიო, მაგრამ არ ვიცით, რამდენად მართალი იყო.

ლ. მეტრეველი.

(დასასრული იქნება)

დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ

I

გთხოვთ, გადასცეთ დაზარალებულ გურულთა ოჯახებს ქ. დუშეთის ინტელიგენციასა და მცხოვრებთა შორის შეკრებილი 69 მანათი და 50 კაპ.

ეს ფული შემოსწირეს: ხუთ-ხუთი მანათი: ი. კვაჭაძემ და კ. ტროიანსკიმ. სამ-სამი:—ვ. დაფქვიაშვილმა, ა. იაშვილმა, გ. ქონჯაძემ, გ. ყარანგოზოვმა. ორ-ორი: ზ. პიპქველაძემ, ვ. მამისოვმა, გ. ზანდუკელმა, თ. მერაბიშვილმა, ნ. კობიაშვილმა. თითო-მანეთი: ი. ძრიელიშვილმა, ნ. შაინოვმა, ი. ფარეშიშვილმა, გ. კობიაშვილმა, დ. კობიაშვილმა, ფუხაშვილმა, ღლონტმა, დ. გორგიევმა, წ. სტეფანიანცმა, გ. კობიაშვილმა, ვ. კოჩიროვმა, ს. წერეთელმა, ს. ხატისკაცმა, ვ. კორსაკმა, ს. ნამორაძემ, ს. გაბელაშვილმა, ყიაბიოვმა, ნ. კანდელაკმა, გ. მაჩიტაშვილმა, ი. ახალშენიშვილმა, ნ. ოსიტაშვილმა, გ. ყარანგოზოვმა, გ. ჩრდილელმა, გ. აფრიამოვმა და №. თითო მანათი და ათი შაური: დ. ხიზანაშვილმა, ვ. ოსკიანცმა, გ. ზარინგმა. ათ-ათი შაური: ი. ღოთვაძემ, ი. ჩოგილაძემ, ს. ბარათოვმა, ნ. ბარათოვმა, ნ. ზანდუკელმა, ს. გოგოლაშვილმა, გ. ასილოვმა, ა. ამირაღოვმა, გ. კორინთელმა, ფილიცხელაურმა, ნ. გძელიშვილმა, ი. ხანდამოვამა, №№ და გ. კასრაძემ.

ა. იაშვილი.

II

შეკრებილი პეტრე ზულიაშვილისა და მიხეილ კალანდაძისაგან ვერის მცხოვრებთა შორის.

ხუთი მანათი: დიმიტრი სესიაშვილი. სამი მანათი: ნესტორ ძვრაბის ძე სულაძე, ორ-ორი მანათი: მიხეილ კალანდაძე, იოსებ ზუიაშვილი, არტემ ფაოსელოვი, მეთოდე გიორგის ძე პიპინაძე, გიორგი ჩიტაძე, მანათი და ათი შაური: მათე რუსიტაშვილი; თითო მანათი: პეტრე ზულიაშვილი, ხანგელდიანცი, ლუკა ჩიტაძე, გიორგი ყორანაშვილი, მიხეილ ბაშინჯაღოვი, სოსო ცინცაძე, მიხეილ ალექსიძე, ნიკოლა ისკანდაროვი; ათ-ათი შაური: იაგორ ილურიძე, პეტრე ჩუბინაძე, ლიზა კალანდაძე, თამარ კალანდაძე.

სულ 29 მანათი და ათი შაური.

III

ბ-ნო რედაქტორო! ქუთაისის მესაათეებისა და ოქრომჭედლების ქარგლებისა და შეგირდების კავშირის რამდენიმე წევრი გიგზავნით ხუთ მანათს და შვიდ შაურს (5 მ. 35 კ.) და გთხოვთ გადასცეთ თავისუფლებისთვის თავგანწირულ მებრძოლ და დაზარალებულ გურულებს.

IV

ბ-ნ მეტეხელს ნიჩჩის ქარხანაში შეუკრებია 7 მ. 16 კაპ. და რონ-კორომის ქარხანაში—4 მ. 60 კაპ., სულ 11 მ. და 76 კაპ.

V

გურულთა სასარგებლოდ მივიღეთ მღ. მ. ყანჩაველისაგან შეგროვილი 3 მ. და 50 კ.

შემოსწირეს: მღვ. მ. ყანჩაველმა 2 მან. და გიორგი დოსმიშვილმა, კაპ. კაპელაძემ და ივანე მატიანკინმა—ათ-ათი შაური.

VI

დოქტ. ნ. ივსეს ძე ჩიგიანისაგან—4 მ.

VII

ნოქრების ერთის ჯგუფისა და მათ დაახლოვებულ ამხანაგების წვლილი გურულთა სარგებლოდ.

დიდი ხანია, გურია დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდი გახდა. იგი თავ-განწირვით, იბრძოდა იმ მოქალაქობრივ უფლებათათვის, ურომლისოდაც ადამიანი—მხოლოდ უბრალო მანქანაა. რასაკვირველია, ბიუროკრატია ვერ შეურიგდებოდა ამას, და ამიტომ მან ჯარი გაგზავნა იქ. მხეცმა კაზაკებმა დაარბიეს მთელი გურია. წითელის ზოლით მოსჩანს გადამწვარი არე-მარე. ყველა მოქალაქის მოვალეობაა, გურულებს დახმარება აღმოუჩინოს, იმ გურულებს, რომელნიც მათთვისაც იბრძოდნენ. ქება და დიდება მებრძოლ გურულებს და ზიზღი მტარვალებს!

ლევან კიზირია.

ამასთანავე გიგზავნით ნოქრების ერთის ჯგუფისა და მათ დაახლოვებულ ამხანაგთა შორის ჩემ მიერ შეგროვილ წვლილს გურულების სასარგებლოდ.

შემოიტანეს: ხუთ-ხუთი მანეთი: ზაქარ ზალინოვმა და ლევან ადამიამ; სამ-სამი მანეთი: დავით მხეიძემ და ალექსანდრე მაღნარაძემ; თითო მანეთი: გასპარ ხუციევმა, ლევან კიზირიამ, ნიკო მარკოზოვმა; ვარლამ ებრალიძემ, მიხეილ ტერ-ზაქაროვმა, ნიკო მიქაძემ, სიკო ბუხურიძემ, გიორგი ბუხურიძემ, ნიკო ხახუტაშვილმა, ნიკო ვათაზაროვმა, სანდრო ვართანოვმა, ვარლამ ი. კორძაიამ, სიმონ ელიავამ, გიორგი ნოზაძემ, ბადრო დ. ტერ-ოჰანეზოვმა, ილიკო გ. დათუნაიშვილმა, სიმონ კონდახჩევმა და მიხაკო აბაშიძემ; ათ-ათი შაური: არტო კონდახჩევმა, ალექსანდრე გამარიანცმა, ელისაბედ ხახუტაშვილმა და ანდრია ქავთარაძემ; ერთი აბაზი ათის წლის ყმაწვილმა გიორგი ხახუტაშვილმა; სულ 37 მან. და 20 კაპ. ეს ფული უკანასკნელ დღეების განმავლობაში შემოსული.

დღევანდლამდე გურულების სასარგებლოდ რედაქციაში შემოვიდა 1682 მან. და 47 კაპ. ზემოდ ნაჩვენებ თანხიანად შესდგა 1843 მან. და 28 კაპ.

ახალი ამბავი

→ 2 დეკემბერს, დილის 9 საათზე, ტფილისიდან ბათუმს გაემგზავრნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **დელეგატები** ამბების დაწვრილებით გასაგებად.

→ ამ დღეებში ვეტცელის თეატრში დანიშნული იყო მ. განელიოსა და შ. გოგელიას რეფერატები. რადგან ტფილისში ჯერჯერობით მშვიდობიანობა და სიწყნარე არ ჩამოვარდნილა, ამიტომ რეფერატის წაკითხვა რამდენიმე დღით გადაიდო.

→ 29 და 30 ნოემბერს ავჭალის ქუჩაზე, სალამოთი, სასულიერო სასწავლებლის წინ, **რევოლვერი გაისროლეს**. პირველ დღეს რევოლვერის მსროლელი სომეხი, რომელმაც სრულიად უმიზეზოდ ორჯელ დასცალა რევოლვერი, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრებმა შეიპყრეს და მსჯავრის დასადებად სოც.-დემოკ. პარტიის ბიუროს გადასცეს. მეორე დღეს რევოლვერის მსროლელი ვერ დაიჭირეს, თუმცა სახლებიდან მცხოვრებნი საჩქაროდ ქუჩაზე გამოცვივდნენ. ეს გარემოება ხელზე დაიხვია სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ და სათანადო მთავრობას სთხოვა: სასწავლებელში სწავლის გაგრძელება შეუძლებელია, რადგან ყოველ ღამობით სასწავლებლის შენობას ვიღაც ხულიგანები, პროვოკატორულ მიზნით, რევოლვერებს ესვრიან და მოსწავლეებს შიშში აგდებენო; ამას გარდა, სასწავლებელს ფული აღარა აქვს და საჭიროა სწავლა 9 იანვრამდე შესწყდესო.

→ **ქუთაისიდან გვწერენ:** „ქალაქი დაწყნარდა. დუქნები გაიღო. კაზაკები ყაზარმებიდან ქუჩაში აღარ გამოდიან, წყლის დასალევნებლად ცხენები სალორიისაკენ მიჰყავთ და ბორანს არ ეკარებიან. ბალახვანის ქუჩაზე სამაზრო სამმართველოს სახლი სულ დახვრეტილია კაზაკების ტყვიებით; ამ ადგილას, საერთო მღელვარების დროს, დიდი ბარიკადა იყო გამართული და კაზაკებს ქალაქში შემოსვლას უშლიდა. გაბრაზებული კაზაკები თოფს ისროდნენ და ზემოხსენებული სახლი სრულიად დახვრიტეს. ბარიკადების შენების დროს რევოლუციონერებმა ქალაქის ბულვარს რკინის მოაჯირი შემოაცალეს, მავთულები დასწყვიტეს, დუქნებიდან ცალიანი მავთულები დაიტაცეს და ბარიკადებზე იხმარეს. ამბობენ, ახლო მომავალში ქუთაისიდან კაზაკებს სრულიად გაიყვანენო. ქალაქს მილიციონერები იცავენ“.

→ 27 ნოემბერს, თელავში მყოფი ბაშკადიკლარის ბატალიონის სალდათები შეიკრიბნენ ბატალიონის ეზოში და დაიწყეს ლაპარაკი სხვადასხვა საჭირ-ვარამო საკითხებზე. ამ დროს მისულა ერთი აფიცერი და დაუწყია ძმობით ლაპარაკი, მაგრამ სალდათებს უპასუხნიათ: ახლა ვართ ძმებიო?! მისცვივნიან, პაგონები სულ უგლეჯიათ, პროკლამაციები ჩაუწყვიათ ჯიბეებში და ისე გაუსტუმრებიათ. შემდეგ მოუთხოვნიათ ბატალიონის უფროსი. ამას თვისი ადიუტანტი გაუგზავნია, რომლისთვისაც სალდათებს გადაუციათ თავიანთი მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილება თითქმის იმავე მუხლებს შეიცავს, რაც ტფილისის გარნიზონის სალდათების მოთხოვნილებაა; თან სამი დღის ვადა მიუციათ. ბატალიონის უფროსს დაკმაყოფილება აღუთქვამს. რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვაა, სალდათების თხოვნით, მოხელეებმა მიიღეს ბატალიონის უფროსის დეპეშა, რომლის პასუხიც უკვე მოვიდა. ნაბრძანებია სათადარიგო ჯარის კაცთა განთავისუფლება, სხვათა შორის, სალდათებს მოუთხოვნიათ სამი აფიცრის დათხოვნა (ც. ფ.)

→ გუშინ, 3 დეკემბერს, **შუშიდან ტფილისში ჩამოვიდა შუშის სომეხთა-მიერ არჩეული დეპუტაცია** (ოცდა ორი კაცი) და კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს გენ.-ლეიტენანტ მალამას წარუდგა. დეპუტაციამ მალამას გადასცა შუშის მცხოვრებთა თხოვნა, რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი ახლანდელი მდგომარეობა შუშისა, ჯებრაილისა, ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრებისა. თხოვნაში სწერია: მცხოვრებნი მოკლებულნი არიან პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგეს, რადგან ევლახ-შუშის ტრაქტი ფაქტიურად თათრების ხელშია და იქ მოძრაობა საშიშოა; ახლა თათრები ამ გზით შუშაში არაფერს უშვებენ, თუ სომეხთა სახელობაზეა გაგზავნილი; შუშაში კი სომხებს არაფრის ყიდვა არ შეუძლიანთ, რადგან სომეხ ვაჭრებს გასასყიდი არა აქვთ-რა, თათრები კი საქონელს სომხებზე არ ჰყიდიანო. დეპუტაციამ გენ.-ლეიტ. მალამას სთხოვა: 1) ეს ტრაქტი ერთს რომელსამე პირს ჩააბარეთ და საკმარისი ჯარი დააყენეთ გზის დასაცავად; 2) დაუყოვნებლივ ფურგუნებით ჯარს პირველ საჭიროების სურსათ-სანოვაგე გაატანეთ შუშაში, და 3) შუშის ადმინისტრაცია დაითხოვეთ და მათ ალაგას სხვები დააყენეთ, რომელთა შორის სომეხი და თათარი სრულიად არ უნდა იყვნენო. გენერალ-ლეიტენანტი მალამა დეპუტაციას დაჰპირდა შუშის სომეხთა თხოვნის დაკმაყოფილებას და აგრეთვე აცნობა: კავკასიის მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენლების კრება იქნება მოწვეული და ამ ორ ეროვნების ხალხს შორის განხეთქილებას ბოლო მოეღებაო. დეპუტაცია კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეისთანაც იყო და მასაც იგივე სთხოვა, რაც გენ.-ლეიტ. მალამას.

→ ადმინისტრაციამ, როგორც თვითონვე ამბობს, **დაითხოვა რამდენიმე პოლიციელი ხულიგანურ მოქმედებისთვის**, მაგრამ ბევრი მათგანი ჩუმად დაიარებიან პოლიციელთა ფორმით და ძველებურ „მოღვაწეობას“ ეწევიან.

→ **პეტერბურგელი მცხოვრები ქართველები** სწერენ „ვოზროჟ.“-ს: მეტად აღელვებულნი ვართ იმ გარემოებით, რომ სამშობლოდან არავითარი ცნობები არ მოგვდის. ჩვენ ვიღებთ მხურვალე მონაწილეობას პეტერბურგის პარტიების მუშაობაში, მაგრამ, თუ კავკასიაში საქმე გამწვავდა, მზადა ვართ დაუყოვნებლივ წამოვიდეთ სამშობლოში კავკასიელებთან ერთად სამუშაოდ, იმედით, რომ პეტერბურგში უჩვენოდაც საკმარისი ძალებია და რევოლუციონური არმია საათობით იზრდება.

→ ნაფიც ვექილმა ა. ს. ფრენკელმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ მას გადაეცეს **გაზეთი ,,კავკაზი''**. გაზეთში ორი განყოფილება იქნება: ოფიციალური და არა ოფიციალური და ,,პრავიტელსტვენი ვესტნიკ''-ის პროგრამით გამოვა.

→ დღეს, 4 დეკემბერს, ვერაზე დანიშნულია **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგი.** მიტინგი, სხვათა შორის, განიხილავს მთავრობის წინადადებას სახაზინო სადგომების დალის შესახებ.

→ 5 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია **რკინის გზის საპენსიო კასის მონაწილეთა კრება.** კრებაზე რუსეთიდან დაბრუნებულ დელეგატების პირით მოისმენენ დელეგატთა კრების გადაწყვეტილებას.

→ როგორც მკითხველებმა იციან, მთავრობის მიერ ტფილისში მყოფ პოლიტიკურ ორგანიზაციების შეიარაღებამ ჯარში უკმაყოფილება გამოიწვია: ეს კაზაკებისა და ჯარისადმი უნდობლობააო. ამის გამო **მსროლელთა 1-ლ ბრიგა-**

---

*) წინად ყველა ჯავშნოსანი უიარაღო იყო, მაგრამ არ ვიცით, მთავრობამ ასე ხელად როგორ მოასწრო მათი შეიარაღება.

დოს, ხელსაც არ გაანძრევს, იაპონიის აფიცერი კი თავის ხელქვეითებისთვის, თავის საქმეში პატარა ოიამა, პატარა კუროკი, პატარა ნოძუა.

კარგი, ეს ვსთქვათ უფროსის ბრძანების ასრულებაა და ხელქვეითმა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ უნდა შეასრულოს იგი, მაგრამ ერთს მაგალითს მოგითხრობთ კიდევ, რომელიც კარგად ახასიათებს რუსეთის უტყვ აფიცრებს.

პეტერბურგში, არ ვიცი, რა ადგილას, მგონი სასახლის ბაღში, იყო ერთი „პოსტი“. „პოსტი“ არის ისეთი ადგილი, სადაც აყენებენ სალდათს თოფით, ან სხვა რამე იარაღით, რომელსაც ჰქვიან „ჩასოვოი“. მას აბარებენ ამ ადგილს, სახელმწიფო ქონება არის იგი, თუ ტუსაღი, ან თუ სხვა რამე და „ჩასოვოი“ ორი საათის განმავლობაში გულის ხეთქაშია, რომ არავინ არაფერი მოჰპაროს, ან ტუსაღი არ გაექცეს და კატორღაში, ან დისციპლინალურ ბატალიონში არ ამოჰყოს თავი. ამგვარ ადგილს („პოსტს“) ერთს წუთსაც არ უშვებენ უდარაჯოდ და დღე და ღამ, ყოველს ორს საათში, სცვლიან „ჩასოვოის“.

იმ ადგილს, რომელიც მე ზევით მოვიხსენიე, ისეთი არაფერი იყო, რასაც „ჩასოვოი“ სჭირდება. არ იყო იქ რამე ქონება, არც ხაზინა, არც ტუსაღი, იყო ცარიელი ადგილი, ამას ყველა ხედავდა, მაგრამ ამ „პოსტს“ თავისი ნომერი ჰქონდა, წიგნებში იყო ჩაწერილი და დღე და ღამ ერთს „ჩასოვოის“ რომ გამოსცვლიდნენ, მის მაგივრად მეორეს აყენებდნენ. ბოლოს, მხოლოდ გასულს წელს, ერთს კომენდანტს აზრად მოუვიდა, (დიდება მის აზრსა და გონებას!) გამოეძია საქმე და გაეგო, რისთვის სდგას ამ ადგილს „ჩასოვოი“. წავიდა, არხივში სჩხრიკა, ეძია და ბოლოს აღმოაჩინა. რა აღმოაჩინა? ნუ გაგიკვირდებათ. ერთხელ ეკატერინე მეორე დადიოდა თურმე ბაღში და ერთ ადგილას შეამჩნია მშვენიერი ვარდი. მოწყვეტა დაენანა, არც უნდოდა, რომ სხვას მოეწყვეტნა ვისმეს, ამიტომ უბრძანა, რომ იმ ადგილას დარაჯი დაეყენებინათ. დარაჯი დააყენეს და წიგნში ჩასწერეს: „პოსტი“ ესა და ეს ნომერი. მასუკან გავიდა ხანი, ის ვარდი დაჭკნა, ეკატერინე მეორე გარდაიცვალა. რუსეთმა რამდენიმე ომი გამოსცადა, ბოლოს იაპონიას შეებრძოლა, დამარცხდა რევოლუციასაც მოესწრო, „ჩასოვოი“ კი იდგა შარშანდლამდე იმ ადგილას და ყოველ ორ საათში ერთხელ სცვლიდნენ და სცვლიდნენ.

აი, ეს არის ,,не разсуждай, а дѣлай, что тебѣ прикажутъ''. აფიცრები უსულო ტელეფონებად არიან ქცეულნი, რომელნიც შენს ნალაპარაკევს შენთან მოლაპარაკეს კარგად გადასცემენ და იმათი როლი ამით თავდება.

თუ ვინმემ გაბედა და ბრძანებას ოდნავ გადაუხვია, ე. ი. ბრძანება სიტყვა-სიტყვით არ შეასრულა, რაც გინდა იგი საქმესა და გარემოებას არ შეეფერებოდეს, თუ ვინმემ კრიტიკულის თვალით შეხედა ბრძანებას და თავისი რამ ჩაურთო შიგ, ეს მას მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვლება და სასტიკად დაისჯება.

უბედურ 22 ოქტომბრის დღეს, დარწმუნებული ვარ, სამწუხარო გაუგებრობა მოხდა. მაღლიდან წამოვიდოდა შემდეგი ბრძანება: ქუჩაში გამოივლის „პატრიოტული“ მანიფესტაცია. რევოლუციონერები „პატრიოტებს“ დაუშენენ სახლებიდან თოფებს, ზარბაზნებს, ყუმბარებს. ჯარს უბრძანეთ, რომელიმე სახლიდან როგორც კი გაისმას თოფისა ან ყუმბარის ხმა, მაშინვე დაუშინონ თოფები, მერე შეცვივდით სახლებში გაჩხრიკეთ, იარაღი წაართვით და იქვე დარჩითო. ეს ბრძანება მიეცემოდა რომელიმე გენერალ-ლეიტენანტს. ის გენერალ-მაიორს გადასცემდა, ის კიდევ—პოლკოვნიკს და მივიდოდა იმ აფიცრებამდე, რომლებიც ქუჩაში მდგომ ჯარებს, უფროსობდნენ. ამათ თავის მხრივ უბრძანეს სალდათებს ძალიან მოკლედ და გადაჭრით: როგორც რომ რევოლვერის ხმა გაიგონოთ, მაშინვე დაუშინეთ თოფები ახლო-მახლო სახლებს. და აი, ერთმა ხულიგანმა გაისროლა რევოლვერი და ჯარმაც ბრძანება აასრულა; დაუშინა თოფები ახლო-მახლო სახლებს და მშვიდობიანად მოსიარულე ხალხს. ბრძანების მეორე მუხლიც კარგად აასრულეს, შეცვივდნენ სახლებში „იარაღის და ყუმბარების საძებნელად“ და ბავშვი, ქალი, დიდი და პატარა ყველა ამოჟლიტეს. ბოლოს ის გამოვიდა, რომ რევოლვერი ხულიგანმა გაისროლა, იარაღისა და ყუმბარების მაგივრად სათამაშო თოფები იპოვნეს, უდანაშაულო ხალხი კი ამოიჟლიტა და ნივთიერადაც დაზარალდა. რადა? იმიტომ რომ აფიცრები ტელეფონებად არიან ქცეულნი, ტელეფონში მოლაპარაკენი კი მხეცნი—გულით, საცოდავნი—ჭკუით და უვიცნი—სწავლა-განათლებით.

არ შეიძლება, რომ არსებულ რეჟიმში ჯარის უფროსნი, რომლებიც ჯარეს სათავეში უდგანან, იყვნენ ლმობიერნი, ჭკვიანნი და განათლებულნი. რატომ? ადვილი ასახსნელია. ამ ღირსებებით დაჯილდოვებული აფიცერი არაფრის გზით სამხედრო სამსახურში წინ ვერ წავა, წარმატებას ვერ მიიღებს. ის ან უნდა დაბერდეს კაპიტნის ჩინში, ან სამხედრო სამსახურს უნდა მიაფურთხოს და სხვა სამსახური მოსძებნოს. სამხედრო დისციპლინა აშენებულია სისასტიკეზე, ლმობიერი გულის აფიცერი მაშ თავის ადგილზე არ იქნება ხოლო ჭკვიანნი და განათლებულნი უფროსებს მეტად ეჯავრებათ.

სულელს არ უყვარს ჭკვიანი, რადგან ის ამ უკანასკნელის თვალებში გარკვევით ჰკითხულობს თავის სისულელეს. ამიტომაც უფროსები ამგვარ აფიცრებს სდევნიან, შვებას არ აძლევენ და საქმე იქამდე მიჰყავთ ხოლმე, რომ აფიცერი იძულებული ხდება, ან სამსახურს თავი დაანებოს, ან სხვა პოლკში გადავიდეს. მაგრამ საბრალოს იქაც ის დღე მოელის. ვერ იტანს სამხედრო სამსახური ჭკვიანს ადამიანს და რას იზამთ?

დარწმუნებული ვარ, მარშალი ოიამა რუსის სამსახურში რომ ყოფილიყო, ძლივსაც როტის უფროსად იქნებოდა, იმაშიაც დარწმუნებული ვარ, კუროპატკინი რომ იაპონიაში ყოფილიყო, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, პოლკის უფროსად დანიშნავდნენ. იქ ღირსეულად აფასებენ ადამიანს, აქ კი ღირსეულს სჩაგრავენ, გზას არ აძლევენ, უღირს კი წინ საოცარის სისწრაფით სწევენ და ბოლოს მთავარ-სარდლობასაც აძლევენ.

მახსოვს, ტფილისში კომენდანტად იყო ერთი გერმანელი, ერნესტი. გენერალ-ლეიტენანტი ბრძანდებოდა. მთელი დღე ქალაქის ქუჩებში ეტლით დაჰქროდა, სალდათებს, იუნკრებს, კადეტებს, ვისაც კი ქამარი ცუდად ეკრა, ან ქუდი ისე არ ეხურა, ან „ჩესტს“ წესდების დაგვარად არ მისცემდა, ყველას იჭერდა და საკომენდანტო სამმართველოში მიჰყავდა. ამის მეტს არაფერს აკეთებდა. ის იყო რაღაც მანიაკი, დისციპლინაზე შეშლილი ადამიანი და, დარწმუნებული ვარ, ის რომ რუსეთ-იაპონიის ომს მოსწრებოდა, თუ მთავარ სარდლად არა, კორპუსის უფროსად მაინც დანიშნავდნენ!

იმ პოლკში, სადაც მე ვმსახურობდი, ერთ-ერთ როტის უფროსად იყო კაპიტანი არ—ძე. ამ ვაჟბატონმა ყველაზე კარგად შეიგნო, რომ სამხედრო სამსახურში გზას გაიკვლევდა მხოლოდ მხეცად ქცეული, მუშტით, გინებით და ლანძღვით, ე. ი. დისციპლინის დაცვით. სალდათებში მას მეტს სახელად ,,звѣрь''-ს უძახდნენ. ,,звѣрь идетъ'' ,,сегодня звѣрь дежуритъ'', ,,смотри, попадешься въ руки звѣрю''! სალდათებს სცემდა უღმერთოდ, და ისეთი მსხვილი მუშტი ჰქონდა, რომ დათვს წააქცევდა. ერთხელ როტას მინდორში ასწავლიდა. როტის ვარჯიშობა არ მოეწონა, თუ სხვა რამ მოუვიდა, უცბად გადირია და, რადგანაც იმ დროს როტა მოშორებით იყო, როტას **ქვის სროლა დაუწყო.**

ერთხელ მე და ეს აფიცერი ორივე ერთი ქალის მეჯვარეებად ვიყავით (მაშინ სალდათად ვიყავ). ქორწილში ორი დღე ერთად გავატარეთ. რაკი ჩემი ძველი ნაცნობი იყო და ქორწილის ხალხიც ჩვენ შორის განსხვავებას ვერ ხედავდა ისიც კარგად მექცეოდა, სუფრაზე მუდამ ერთად ვისხედით, ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, ვმღეროდით. მესამე დღეს, სწორედ ამ ქორწილის მიზეზით, რადგან სამსახურში ერთი საათით დავიგვიანე, კარცერში სამი დღით ჩამსვეს.

ოთახი პატარა და ვიწრო იყო. შიგ მარტო რკინის საწოლი იდგა. ღამე ციოდა, თვალი არ მომიხუჭავს. შუადღისას პატარა დათბა და მთელი ღამის უძილოს ცარიელ ფიცრებზე მიმეძინა. უცბად ხმაურობაზე გამეღვიძა. წამოვვარდი გიჟივით, კარები გააღეს და არ-ძე თავზე დამადგა. პირიდან დორბლებსა ჰყრიდა და მზად იყო მუშტი შემოეკრა: „арестанту полагается днемъ спать!“ მიყვიროდა ის და ცეცხლის პირით მლანძღავდა. გავჩუმდი, ხმა არ გავეცი. უჩუმდებოდა ყველა და ხმას არავინ სცემდა, ის კი პოლკში კარგ აფიცრად ითვლებოდა და პოლკოვნიკობისკენ გზა გახსნილი ჰქონდა.

დისციპლინარულ ბატალიონში ოთხი როტაა, მაშასადამე ოთხი როტის უფროსი და ოთხიც ნახევარ როტისა. უნდა ნახოთ, რა აფიცრები არიან. იქ გადაჰყავთ ან უვარგისი აფიცრები, რომლებიც ან უჭკუობით, ან გადამეტებული სიბერით პოლკში ვერ ასრულებენ სამსახურს, ან არა და სასჯელის მოსახდელად. მათში ერთი ერთი აფიცერი გვარად პოკროვსკი, რომელიც მართლა სასჯელის მოსახდელად იყო გადმოყვანილი, დანარჩენნი კი დაწუნებულნი იყვნენ. პოკროვსკი იყო ნამდვილი სამხედრო კაცი. მშვენიერი ვაჟკაცი, ჭკვიანი, განათლებული ადამიანი. გულკეთილი, ზრდილი, თანაც თავის დროზე სასტიკი, რიხიანი, რომლის ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვარ, ომში სალდათები პირდაპირ ცეცხლში გადაცვივდებიან და არც ერთი მათგანი უკან ფეხს არ გადმოსდგამს. სხვები კი იყვნენ რაღაც უბედური არსებანი, რომლებსაც, როგორც სოფელში იტყვიან, ორ ღორს არავინ მიაბარებს. პოკროვსკი ბატალიონის უფროსს ჭირივით ეჯავრებოდა, სხვები კი უყვარდა. რათა? იმიტომ რომ, ისინი როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ უფროსს, კანკალს იწყებდნენ, დაებნებოდათ ენა და მზად იყვნენ უფროსის ფეხთა მტვერი ელოკნათ, პოკროვსკი კი სცემდა პატივს მას, რამდენადაც ამას სამხედრო წესი მოითხოვდა, არც კანკალს იწყობდა და არც ენა დაებმებოდა ხოლმე.

ყოველი ღონისძიებით სცდილობდა უფროსი, ამ კაცისთვის შენიშვნა მიეცა, თავისი ძალა ეგრძნობინებინა, რითიმე დაემცირებინა. ერთხელ აუხირდა, ,,ჩესტს'' ისე არ მიკეთებ, როგორც ამას სამხედრო წესები მოითხოვსო. პოკროვსკიმ უპასუხა ოცდა ხუთი წელიწადია ასე ვაკეთებ ,,ჩესტს'' და შენიშვნა არავის მოუციაო. შეხირდნენ ამაზე, ბოლოს საქმე იქამდისინ მივიდა, რომ ბატალიონის უფროსმა უბრძანა ფელდფებელს სარკე მოეტანა. მოიტანეს სარკე და პოკროვსკის წინ დაუდგეს. ამ სცენას ვუყურებდით ჩვენ ყველანი და მთელი ბატალიონის უნტერ-აფიცრები. ,,ჩაიხედეთ სარკეში, ჩაიხედეთ, როგორ მიკეთებთ ,,ჩესტს'' ეუბნებოდა უფროსი. პოკროვსკიმ სახე გვერდზე მიიღო და შეკავებული კილოთი უთხრა: ,,ჩესტს'' თქვენ გიკეთებთ, როგორც უფროსს და არა სარკესაო.

აი, როგორ ესმით რუსის აფიცრებს სამხედრო დისციპლინა. იმათ ჰგონიათ, რომ სამხედრო დისციპლინა მდგომარეობს ადამიანის ღირსების დამცირებასა და ხელ-ქვეითის ცემატყეპაში. იმას ვერ წარმოუდგენია, რომ მისი ხელქვეითიც ადამიანია, რომ იმასაც აქვს თავმოყვარეობა და ადამიანური გრძნობები. მას ვერ შეუგნია, რომ დისციპლინა აძლევს მას მხოლოდ დასჯის ნებას და არა ადამიანურ ღირსებების შელახვას. ერთი-ერთმანეთის გაბიაბრუებას, დამცირებას, გათახსირებას ისე არიან შეჩვეულნი, რომ მას ჩვეულებრივ მოვლენად სთვლიან და მას რომ მისი უფროსი გალანძღავს, სამაგიეროდ ის თავის ხელქვეითს ლანძღავს.

რა გასაკვირველია, რომ ამ პირობებში აღზრდილი რუსეთის არმია დამარცხდა მანჯურიაში, დაამარცხეს იაპონელებმა, რომლის სალდათი ჩვენ აფიცერს უდრის და რომელიც, როგორც ერთეული, ძალას წარმოადგენს, თავადაც აზროვნობს, საქმეს ზომავს და ისე იქცევა. ჩვენი ჯარი კი, ცალ-ცალკე პოლკებად და როტებად დანაწილებული, წარმოადგენს უსულო მანქანებს, რომელიც მხოლოდ მაშინ მუშაობს კარგად და ნაყოფიც მოაქვს, თუ მცოდნე და გამოცდილი მემანქანე ჰყავს.

ნაპოლეონმა სთქვა: მომეცით რუსის სალდათი, ხოლო არა რუსის გენერლებიო და მე ვიცი, მაშინ რასაც ვიზამო. რუსის არმიის ნამდვილი დახასიათება თუ გინდათ, ეს არის.

სათადარიგო ჯარის კაცი.

დის უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომელშიაც ჯარს არწმუნებს, ქალაქის მცხოვრებელთა ერთს ნაწილს მთავრობამ იარაღი დაურიგა სომეხ-თათართა შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტის დროს მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად, და ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობა ჯარს არ ენდობაო. ჩვენი საქმეაო—ვისწავლოთ, როგორ ვებრძოლოთ გარეშე მტერს, და ამ საქმეს უნდა ვემსახურებოდეთო: თუ ჩვენ ხანდახან გაგვგზავნიან უწესოების დროს მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად, ეს მხოლოდ მუშაობას გვიმატებს და ჩვენს საქმეს გვაცდენსო, ასე რომ, თუ ჩვენ თავს დაგვანებებენ და ქალაქის მცხოვრებთ ისევ მცხოვრებნი დაიცავენ, ეს ჩვენ კი არ უნდა გვეწყინოს, უნდა გაგვეხარდეს, რადგან ჩვენ საქმე შეგვიმცირდება და შეძლება მოგვეცემა, ჩვენს საქმეს ვემსახუროთო.

◆ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ გუბერნატორის შუამდგომლობით კავკასიის მთავარ-სარდალს განკარგულება მოუხდენია, რომ **ქუთაისიდან კაზაკთა პოლკი გამოიყვანონ**. მაგრამ თვით კაზაკები მთავარსარდლის ბძანებას არ ემორჩილებიან და წამოსვლის არც კი ფიქრობენ. პოლკის კომანდირი ამჟამად იქ არ არის, მაგრამ, რომ იყოს კიდეც, ვერას გახდება, რადგან კაზაკები მას მეფის ორგულად აცხადებენ და მოკვლას ემუქრებიან, თუ რომ ქუთაისში ფეხი შესდგა. გუბერნატორი არწმუნებს კაზაკების უფროსებს: **ხალხთან**-კი არა, **ჯართან** მოგივათ შეტაკებაო, მაგრამ კაზაკები თავისას გაიძახიან: სულ დავიხოცებით და აქედან ფეხს არ გავსდგამთო. ქალაქში დიდი მღელვარებაა და საზარელ ამბებს მოელიან.

◆ სომეხ-თათართა შეტაკების დროს დაჭრილ მილიციონერს, რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოების მუშას ივანე ბეკეტოვს, რომელსაც ტყვიით მარჯვენა ბარკლის ძვალი ჰქონდა დამტვრეული, მიხეილის საავადმყოფოს **ექიმებმა ფეხი მოსჭრეს**. კაზაკებისაგან მძიმედ დაჭრილ მილიციონერის თეოფილე ბაბილოძის შესახებ კი ექიმებმა გუშინ გვითხრეს, რომ იგი დაახლოვებით ამ ორ კვირაში სრულიად განიკურნება და საავადმყოდან გამოეწერებაო.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში **სწავლა 7 დეკემბრიდან დაიწყება**. ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში სწავლა ორშაბათიდან დაიწყება.

◆ ტფილისის პირველ საპოლიციო უბნის ბოქაული ბაჩურინი **განჯის პოლიცმეისრად დაინიშნა**.

◆ **ახალ-სენაკი**, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სადგურზე თოფით მოჰკლეს მდივანი საპოლიციო განყოფილებისა.

◆ გუშინ-წინ, 2 დეკემბერს, **კავკავიდან ტფილისში ფოსტა მოვიდა**.

◆ ამ დღეებში გადასწყდა, რომ **სომეხ-თათართა შორის განხეთქილების გამოსაკვლევად სამედიატორო სამართალი დაინიშნოს ხოლმე**. 2 დეკემბერს სამედიატორო სასამართლოს შესახებ საკითხი კიდევ განიხილა სომეხ-თათართა კომისიამ და დაადგინა: სამედიატორო სასამართლოს წევრებად უნდა ამოირჩიონ ხოლმე სომეხნი და თათარნი, ხოლო თავმჯდომარედ ნეიტრალ ეროვნების წარმომადგენელი. თუ ამ სასამართლოს გარდაწყვეტილებას რომელიმე მხარე უკანონოდ იცნობს, მაშინ უნდა დაინიშნოს მეორე სამედიატორო სასამართლო, რომლის წევრებადაც მხოლოდ ნეიტრალ ეროვნების წარმომადგენელნი უნდა იყვნენ. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იქმნება და ორთავე მხარე მოვალეა დაემორჩილოს. კომისიამ აგრეთვე სასურველად იცნო, რომ ორივე მხრით ფულით გარანტიაც იყოს.

◆ ალექსანდროპოლი. 30 ნოემბერს, როდესაც ვაგონი გახსნეს, არ აღმოჩნდა 16,000 ცალი პატრონა სამ-ლულიან ვინტოვკისა. სად გაუძარცვავთ ვაგონი, არ იციან.

◆ გუშინ, 2 დეკემბერს, საღამოს $6\frac{1}{2}$ საათზე, ნიკიტინის ცირკის გვერდით ორი ხულიგანი ერთის სახლის ცეცხლის მოკიდებას აპირობდა, მაგრამ მალე შენიშნეს და ერთი მათგანი შეიპყრეს.

◆ 30 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, დიდუბეში, ბავშვთა თავშესაფარის ეზოში, ახლახან თათრის მოედნიდან დარბევის შიშით გადმოსახლებულის თავადა გურჯიევის სახლს თავს დასხმია 12 ბოროტ-განმზრახველი, როგორც ეტყობოდა, ადგილობრივი მცხოვრებნი, და გაუტაცნიათ ოქროსა და ვერცხლის ნივთეულობა, ღირებული 3,000 მანათამდე, და ნაღდ ფულად 1,000 მან.; ფულთან და ნივთებთან უთვიფილა ტფილისის საურთიერთო სავრედიტო საზოგადოების ბანკის ბილეთი, ღირებული 4,750 მანათად, მაგრამ ქურდებს ამისთვის ხელი არ უხლიათ.

◆ გუშინ მაჰმადიანთა სასაფლაოზე დაასაფლავეს 20-ზე მეტი მაჰმადიანი, რომელნიც ტფილისში მომხდარ სომეხ-თათართა შეტაკების მსხვერპლნი შეიქმნენ.

◆ ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ლეიტ. მალამამ გუშინ-წინ მიიღო სადარბაზოდ ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი და ქუთაისიდან ჩამოსული სხვა დელეგატები, რომელთაც სთხოვეს გენ. მალამას, რომ ქუთაისიდან დაუყოვნებლივ გაეყვანოთ ყველა კაზაკები (პლასტუნები და ხოპრები). გენერალმა მალამამ დააკმაყოფილა დელეგატების თხოვნა. გუშინ-წინვე დელეგატები საღამოს მატარებლით ქუთაისს დაბრუნდნენ, რომ საჩქაროდ აცნობონ მოქალაქეთ ეს სასიხარულო ამბავი.

◆ დღეს, კვირას, 4 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ტფილისის მე-2 სავაჟო გიმნაზიის სადგომში, საზოგადო კრება ექმნებათ კავკასიის პედაგოგთა კავშირის წევრთ. დროებითი ბიურო ამ კავშირისა მოიწვევს ყველა მასწავლებელთა და საშუალო და დაბალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ, გამოცხადდნენ დანიშნულ დროს მე-2 გიმნაზიის სადგომში. კრების საგანია—კავკასიის პედაგოგთა კავშირის საბოლოო წესდების შედგენა, არჩევნები ამ კავშირის ტფილისის სამუდამო განყოფილების გამგეობის წევრთა და სხვანი.

◆ კვირას, 27 ნოემბერს, დაბა სურამში გაიმართა სახალხო მიტინგი. ამ მიტინგზე ფედერალისტ-სტუდენტებმა სიტყვის ნება ითხოვეს, მაგრამ ვერ მიიღეს. მიტინგზე მარტო სოც.-დემ. ორატორობდნენ.

◆ 27 ნოემბერს, ღამით, სადგურ გომში საქონლის მატარებელი № 150 ლიანდაგს გადასცდა. დაამტვრა ოთხი ვაგონი და დაშავდა რვა კაცი: ოთხი კერძო მგზავრი და ოთხიც კონდუქტორი.

◆ დაბა სურამში სარასკიპო სახლის პატრონმა უვაგილა ავთანდილოვმა მოჰკლა ორი კაცი, მაგრამ მესამე დღეს თვითონ ისიც მოჰკლეს. სრული სამი დღე გვამი ქუჩაში ეგდო და დასამარხავად არავინ ეკარებოდა. მერე რის ტანჯვით ეღირსა საფლავი, მაგრამ მეორე დღეს ისევ საფლავიდან ამოაგდეს.

◆ ტფილისის ხელოსანთა დურგლებისა, მეჩუქურთმეებისა, მპალერების გამკვრელებისა, ხარატებისა და მათის შეგირდების მოთხოვნილებანი: 1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) მანათზე 2 პროცენტის მომატება; 3) მოისპოს ნაჭრობით მუშაობა და შემოღებულ იქმნას დღიური; 4) ზრდილობიანად მოპყრობა, როგორც ხაზეინის, ისე უფროს ხელოსნებისაგან; 5) ხაზეინს არ შეეძლოს ხელოსნის დათხოვნა, თუ ორას კვირით ადრე არა აქვს გამოცხადებული; აგრეთვე, თუ მომუშავეს არა სურს მუშაობა, უნდა შეატყობინოს ხაზეინს ორის კვირით ადრე; 6) ჯამაგირები რიგდებოდეს უთვულ შაბათობით, ერთის საათით წინ მუშაობაზე ხელის აშვებამდე; 7) სახელოსნოს სადგომი ჰიგიენურად მოეწყოს; 8) მიეცეთ სრული ჯამაგირი, როგორც საერთო პოლიტიკურ გაფიცვისა, ისე კერძო გაფიცვის დროსაც; 9) ხელოსნის დათხოვნა უნდა ხდებოდეს თვით მომუშავეებთან შეთანხმებით; 10) ავადმყოფობის დროს ერთის თვის განმავლობაში შეენახოს ადგილი და სრული ჯამაგირიც. შეგირდების მოთხოვნილებანი: 1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) ხაზეინს არ შეეძლიან აიყვანოს შეგირდი არა, ნაკლებ 15 წლისა, შეგირდობის დრო უნდა იყოს არა უმეტეს 3—4 წლისა; 2) შეგირდებისათვის ქარხანასთან უნდა იყოს განსაკუთრებული საწოლი ოთახი; 3) შეგირდებს მიდ[illegible]ის დღიდან პირველ წელს უნდა მიეცეთ დღეში ექვსი შაური, მეორე წელს—დღეში ორი აბაზი, მესამე წელს—ათი შაური და მეოთხე წელს კი—სამი აბაზი; 4) ჯამაგირი დაურიგდეს უთვულ შაბათობით, კვირა-უქმე დღეების გამოურიცხველად; 5) უთვულ ორ კვირაში შეგირდებს უნდა მიეცეთ აბანოს ფულად სამ სამი შაური; 6) ხაზეინებს ნება არა ჰქონდეთ შეგირდი სახლში ამსახურონ; შეგირდი მუშაობის დროს სახელოსნოში უნდა იყოს, რათა უფრო ჩქარა შეისწავლოს ხელობა; 7) თუ ვინიცობაა შეგირდი ავად გახდა, ხაზეინი ვალდებულია იზრუნოს მის მოსარჩენად თავის ხარჯით და ავადმყოფობის დროს მისცეს კუთვნილი ჯამაგირი ცალკე; 8) უვლის გათავების შემდეგ ხაზეინებმა შეგირდებს უნდა მისცენ ტანისამოსისთვის 25 მანათი; 9) ხაზეინები და უფროსი ხელოსნები ზრდილობიანად უნდა ეპყრობოდნენ შეგირდებს და შეგირდებიც მათთან ზრდილობიანად უნდა იქცეოდნენ; იქვე რამდენსამე ხაზეინს ჰქონდათ კრება გამართული და ამოირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ხელოსნებისა და შეგირდების მოთხოვნილებანი.

◆ ამ დღეებში კრება ჰქონდათ პირველ საპოლიციო უბნის სახლის პატრონებს და გადასწყვიტეს, საქალაქო გადასახადი არ მისცენ.

◆ ბევრს ადგილას, სადაც ხალხი თავს იყრის ხოლმე, უცებ რევოლვერს სცლიან და ხალხს აფრთხობენ. რადგან ასეთს სროლას შეუძლიან დიდ უბედურების გამოწვევა, ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი მათ წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესახებ.

◆ რადგანაც ამ უკანასკნელ დროს ტფილისში, როგორც საზოგადოდ რუსეთში, მშვიდობიანი ცხოვრება შეუძლებელი შეიქმნა და ამ მიზეზით ხალხი ნაკლებად ესწრებოდა წარმოდგენებს, ქართული დრამატიულ საზოგადოება იძულებული იყო დღემდე წარმოდგენების მართვა შეეწყვიტნა, რადგან არტისტებს შესაფერ ჯამაგირს ვერ აძლევდნენ. დღეს კი არტისტები ნახევარ ჯამაგირზედაც დათანხმებულან და ამიტომაც წარმოდგენის გამართვას ამ დღეებში ისევ განაახლებენ.

◆ როგორც რაჭიდან გვატყობინებენ, ამ უკანასკნელ ხანში დაბა ონში ხალხსა და ჯარს შორის შეტაკება მომხდარა. რამდენიმე კაცი ონიდან ქუთაისში ჩასულა და ონიდან კაზაკებისა და სტრაჟნიკების გაძევება მოუთხოვნია გუბერნატორისათვის.

ქუთაისის ცხოვრება

რადგანაც ადგილობრივ კომიტეტების სახელით ვიღაც უცნობი პირები კვლავ განაგრძობენ ოჯახებში იარაღების კრეფას და შემდეგ ამ იარაღების საშუალებით ბოროტმოქმედებენ, ამიტომ ქალაქის გამგეობასთან დაარსებულმა საგანგებო კომისიამ საჭიროდ სცნო შემდეგი პროკლამაციის გამოცემა: „წინადაც იყო გამოცხადებული, რომ მოქმედ პარტიების ადგილობრივი კომიტეტები აღარ ჰკრეფენ იარაღს კერძო პირებისა და ოჯახებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ოჯახებში იარაღის ჩამორთმევა, ვითომდა ამა თუ იმ კომიტეტის მინდობილობით. ხელმეორედ ვაცხადებთ, რომ კომიტეტებისაგან აღარავინ არ არის დავალებული იარაღი შეჰკრიბოს და ნურც ვინმე აძლევს მათ იარაღს. ვინც შემჩნეული იქმნება ამგვარს ბოროტ-მოქმედებაში, მათ წინააღმდეგ კომიტეტების მიერ მიღებულ იქნება სასტიკი ღონისძიებანი. ამასთანავე მივმართავთ მოქალაქეთა კეთილ გონიერებას: ვისაც იარაღი აქვს და არ შედის ამა თუ იმ პარტიის წითელ რაზმში, უთავბოლოდ ნუ ხმარობენ იარაღს და ნუ აღელვებენ საზოგადოებას. იმ პირებს, რომელნიც, მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, კიდევ განაგრძობენ იარაღის ხმარებას, იარაღი ჩამოერთმევათ და ორგანიზაციებს გადაეცემათ". პროკლამაციას ხელს აწერენ: ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.; იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.; ქუთაისის კომიტეტი სოც. რევ. პ. და ქუთაისის კომიტეტი სოც.-ფედ. სარევ. პარ."

◆ კაზაკებსა და სალდათებზე თავდასხმის მოსასპობად ხსენებულმა საგანგებო კომისიამ შემდეგი პროკლამაცია გაავრცელა: „ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, რომ კერძო პირნი თავს ესხმიან კაზაკებს, სალდათებსა და, საზოგადოდ, ქალაქის მცხოვრებს იარაღის წასართმევად და სხვა ძალმომრეობის გამოსაჩენად. ასეთი შემთხვევები უმეტეს ნაწილად იწვევს ადამიანის მსხვერპლს, ჰბადებს ხალხსა და ჯარს შუა შფოთსა და მღელვარებას, რასაც, შესაძლებელია, მეტად სამწუხარო შედეგება მოჰყვეს და საქმე გამწვავდეს. ამის გამო, რომ თავიდან ავიცილოთ ხალხის არასასურველი შეტაკება ჯართან და უმიზნო სისხლის ღვრა, ქალაქის გამგეობასთან დაარსებული საგანგებო კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლნი, საყოველთაოდ აცხადებს შემდეგს თავის დადგენილებას: ის პირნი, რომელნიც ძალადობას გამოიჩენენ კაზაკებისა, სალდათებისა და, საზოგადოდ, ქალაქის მცხოვრებთა წინაამდეგ, რომ იარაღი წაართვან მათ, დაასახიჩრონ ან დასჭრან და სხ., ამაჟამიდან სასტიკად იქმნებიან დევნილნი, როგორც ქალაქის მილიციონერებისაგან, ისე თვითონ ორგანიზაციებისაგან; დამნაშავენი დაჭერილ იქმნებიან, იარაღი ჩამოერთმევათ და ამასთანავე მიცემულ იქმნებიან კერძო სამართალში".

◆ რადგანაც მეეტლეებმა უარი განაცხადეს როგორც ხიდის ბაჟის გადახდაზე, ისე ეტლების ცხენებზე დაწესებულ გადასახადზე, ვითომც ამ გადასახადების მიცემა „კომიტეტებმა" და „ტერორებმა" აუკრძალესო, ამისათვის საგანგებო კომისიას, სხვადასხვა პარტიების წარმომადგენელთა თანადასწრებით, სურს მოიწვიოს ამ დღეებში მეეტლენი ქალაქის გამგეობის დარბაზში და გამოუცხადოს მათ, რომ არავითარს კომიტეტს მისთვის არ აუკრძალავს ხსენებულ გადასახადების ქალაქის გამგეობაში შეტანა და წინადადება მისცეს, რომ უარის უთქმელად აძლიონ ხიდებზე დაყენებულ პირთ დაწესებული ბაჟი და აგრეთვე ცხენებზე დაწესებული გადასახადიც მალე შეიტანონ.

◆ საგანგებო კომისიამ მილიციონერები კი აირჩია, მაგრამ იარაღი ვერ უშოვნა. ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რომ მან უშოვნოს მილიციას საჭირო იარაღი—ბერდანები, მაგრამ გუბერნატორი თავის უფლებით ვერ იძლევა თოფების ტარების ნებართვას ნამესტნიკის ნებადაურთველად. ჯერჯერობით მილიციონერებს დაურიგდა ის რევოლვერები, რომელნიც პოლიციელებს ჩამოერთვათ, და აგრეთვე რამდენიმე კერძო პირებისაგან დროებით ნათხოვარი რევოლვერი.

◆ ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა იარაღის უკანვე დაბრუნება იმ პოლიციელთ, რომელნიც გაიფიცნენ და სამსახურს თავი დაანებეს. აღმოჩნდა, რომ პოლიციელთაგან თითქმის ერთმა მესამედმაც არ წარადგინა რევოლვერები. მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ რევოლვერები ქუთაისში მომხდარ არეულობის დროს კერძო პირებმა წაგვართვესო. საგანგებო კომისიამ გამოუცხადა მათ, ვინც იარაღებს უკანვე სრულიად არ დაუბრუნებს, ის ვერც ნოემბრის ჯამაგირს მიიღებს და ვერც ერთი თვის ჯამაგირის ოდენს დახმარებასო. ასეთმა განცხადებამ პოლიციელები ძლიერ დაადონა და, მგონი, ბევრს კიდეც მოაძებნინოს დაკარგული რევოლვერები.

◆ საგანგებო კომისიის დადგენილებით, ტფილისში წავიდა დეპუტაცია ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის მეთაურობით; დეპუტაციამ უნდა იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რომ ქუთაისიდან გაყვანილ იქმნენ ხოპრის პოლკის კაზაკები, რომელთაც თავის ავაზაკური საქციელით ისე მოაბეზრეს მცხოვრებლებს თავი, რომ ყველა ამხედრდება მათ წინააღმდეგ. ამ დღეებში ქუთაისის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეთაც ჰქონდათ მიტინგი ოლქის სასამართლოს დარბაზში. თითქმის ამ ბიუროკრატებმაც კი ამოიღეს ხმა და, კრილოვის არაკის ერთის გმირისა არ იყოს, ერთი წიხლი მათაც უთავაზეს დონ-კიხოტსა და სულთმობრძავ თვითმპყრობელობას. მიტინგზე, სხვათა შორის, დადგენილ იქმნა: მოვითხოვოთ, რომ ხოპრის პოლკის კაზაკები, რომელნიც ქუთაისში დიდს უბედურებას ახდენენ, გაყვანილ იქმნენ ქალაქიდან. თუ ჩვენი მოთხოვნილება ერთის კვირის განმავლობაში არ დაკმაყოფილდეს, მაშინ ყველანი გავიფიცებითო.

ისარი.

—:—

ბათუმი იღუპება

ბათუმის მდგომარეობა ძნელი ასაწერია, კაზაკ-სალდათები დარევიან მშვიდობიან უიარაღო ხალხს და მუსრს ავლებენ—ჟლეტენ დიდსა და პატარას, სახლებს ანგრევენ, იკლებენ, ძარცვენ, ავეჯს ამსხვრევენ—თითქო ბარბაროსები შეჰსევიან უცხო ქალაქს.

კაზაკები, დიდიხანია, იღრინებოდნენ, ემუქრებოდნენ ქალაქის მცხოვრებლებს და მცირე მიზეზს ეძებდნენ, რომ მუქარა საქმედ ექციათ. ამისთანა მიზეზი თითონვე მოიგონეს. 28 ნოემბერს ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომც ერთ კაზაკს ხალხმა თოფი წაართვაო. კაზაკებსაც ეს უნდოდათ.

კაზაკები გამოვიდნენ თათრის ბაზრიდან საბარგო სადგურისაკენ და ქუჩებში გამვლელ-გამომვლელს თოფს ესროდნენ.

სწრაფად შეიკრიბნენ სარევოლუციო ორგანიზაციების წარმომადგენელნი და დაადგინეს—მოვთხოვოთ გუბერნატორს, რომ კაზაკები ბათუმიდან გაიყვანოს. გუბერნატორი ფონ-პარკაო დაჰპირებია ხალხის დეპუტაციას, კაზაკების უფროსს დაეითანხმებო, ხოლო მათი სრული გაყვანა ბათუმიდან მე არ შემიძლიანო.

29 ნოემბერს, დილით, სარევოლუციო ორგანიზაციებმა სამგლოვიარო გაფიცვა გამოაცხადეს. იმ ღამეს ქალაქის საავადმყოფოში მიასვენეს 10 მოკლული და ორი დაჭრილი.

ამავე დღეს მიტინგზე ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა კაზაკებს. საღამოს მატარებლით ხალხის დეპუტაცია—ქალაქის მოურავი თ. ანდრონიკაშვილი, ციხის შტაბის უფროსი მდივანი და ინჟენერი პომორსკი ტფილისს გაეგზავრა.

30 ნოემბერს, დილით, საავადმყოფოსთან შეგროვდა ხალხი მოკლულთა დასამარხად. 9 საათზე სადგურთან ვიღამაც თოფი ისროლა, მას მოჰყვა მეორე, მესამე და გაჩნდა გრიალი, ვიღაც ხულიგანმა ყუმბარა ესროლა არტილერიის აფიცერსა და სალდათებს.—ყუმბარა არ მოხდა არც აფიცერსა და არც სალდათებს. გაჩნდნენ კაზაკები და ხალხს სროლა დაუწყეს. ხელად გაიმართა ბარიკადები პეტერბურგისა, ტურგენიევის, ვოზნესენსკის, მორსკოი და სხვა ახლო-მახლო ქუჩებზე, სადაც თოფები განუწყვეტლივ გრიალებდნენ. ამ დღეს, რასაკვირველია, მოკლულები ვერ დაასაფლავეს. საღამომდე ხალხი ბარიკადებს აშენებდა, რომელთა რიცხვი თითქმის ასამდე ავიდა.

პროვოკატორები სცდილობდნენ სალდათები ხალხს წაჰკიდონ, რადგან წინად მიტინგებზე სალდათები დახმარებას ჰპირდებოდნენ კაზაკების წინააღმდეგ. მართლაც, სალდათები გაბრაზდნენ და ხალხს თოფები დაუშინეს.

ამ დღეს საავადმყოფოში მიიყვანეს 20 დაჭრილი და 30 მოკლული მიასვენეს. საერთოდ-კი მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი არავინ იცოდა.

საღამოს კომენდანტი დაჰპირდა ხალხის წარმომადგენლებს, რომ სალდათები ხალხს არ ერჩიან, თოფს არ ესვრიან, თუ რომ მიზეზი არ მისცესო, და ამავე დროს სულ სხვანაირად მოქმედობდა, კომენდანტმა ხალხი დაარწმუნა, რომ ჯარს შეიკავებდა, ოღონდ გაფიცვა ახსენით და ბარიკადები აიღეგეთო. ხალხმა ბარიკადები გაალო და სანანულად-კი გაუხდა.

1 დეკემბერს მთელი ჯარი ამოძრავდა. ქუჩებში კაზაკები დათარეშობდნენ, სალდათები დადიოდნენ, არტილერიამ ზარბაზნები გამოიტანა და ქუჩებში დააყენა, ქალაქის სამმართველოსაც-კი რამდენიმე ზარბაზანი დაუმიზნა. გაჩნდა სროლა, სახლების ჩხრეკა-ოხრება.

თურმე იმ ღამეს კომენდანტს ნებართვა მოსვლია, რომ ქალაქში ალყის შემორტყმულ ქალაქის დებულება გამოცხადდეს (ოსადნოე პოლოჟენიე).

ამრიგად მთელი ქალაქი ჯარის ხელშია, რომელიც ყველაფერს შეუბრალებლად ანადგურებს. ქალაქის სამართველო აიკლეს, გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" რედაქცია და სტამბა მილეწ-მოლეწეს, კერძო სახლებსა და სადგომებსაც არბევენ. ქალაქი სულ აქოთებულია.

2 დეკემბერს კომენდანტს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ტფილისიდან:

„მთავარ სარდალმა ბძანა ლაბინის პოლკის კაზაკები წამოსასვლელად შეამზადოთ და ბათუმიდან სადგურ მიხაილოვოში გამოისტუმროთ, საიდანაც ბორჯომსა და ახალციხისკენ წავლენ ასასობით. დაწვრილებით ცნობებს კაზაკების გამოგზავნის შესახებ გაუწყებენ პოლკოვნიკები პომორსკი და მდივანი, რომლებიც 2 დეკემბერს ჩამოვლენ, საღამოს.—შტაბის უფროსი ბერხომანი.

კომენდანტმა, ამ ბძანების შემდეგ ყურიც არ შეიბერტყა. პირიქით, სხვა კაზაკებიც დაიბარა.

ქუთაისის გუბერნიაში კაზაკებს აგროვებენ და ბათუმს გზავნიან, 500 კაზაკი ჩასულა კიდეც. გურიიდანაც ორი ასეული უნდა წასულიყო ბათუმს რკინის გზით, მაგრამ მილიციონერებმა მატარებლები შეუკრეს და კაზაკები ფეხით გაეშურნენ.

მოწოდება

ტფილისის მოქალაქეთა მიმართ.

მძიმე დღეები დაუდგა ფოსტა-ტელეგრაფის მშვიდობიან მუშაკთ, საუკუნოებით წელში მოხრილთ, მთავრობის დაუზოგველ თვითნებობის მსხვერპლთ. აუტანელ პირობებში მომუშავეებმა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ღრმად ამოიოხრეს.

„თავისუფლება სინდისისა, კრებისა და კავშირებისა, ზენარ ხმებით გაისმა ათასობით ტანჯულ ადამიანთა შორის, იმ ადამიანთა, რომელთაც უზომოდ სტანჯავდნენ. დაარსდა სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირი, რომელსაც საოცარის სისწრაფით შეუერთდნენ ფ.—ტ. ყველა მუშაკნი. მაგრამ მთავრობამ დურნოვოსა და სევასტიანოვის პირით გადაჭრით უარჰყო ეს კავშირი და მისი უმთავრესი ორგანიზატორები 24 საათის განმავლობაში დაატუსაღა. მოსამსახურეებმა უპასუხეს საერთო გაფიცვით და, აი, უკვე 18 დღე გადის, რაც მთელს იმპერიაში, გაჯიუტებულის პირის წყალობით, ფოსტა-ტელ. მოქმედება შეწყვეტილია.—პეტერბურგიდან ბრძანება მოვიდა, რომლის ძალითაც გაფიცვის დასრულებამდე ჯამაგირების მიცემა სასტიკად აკრძალულია, ამ ნაირად, მთავრობა შეეხო სწორედ ყველაზედ უფრო მტკივან ადგილს ფ.—ტ. მოხელეებისას, რომლებიც თავიანთ საცოდავ ჯამაგირებით ძლივს იბრუნებდნენ სულს. მაშ, რიღათი ვიარსებოთ? საიდან გამოვძებნოთ ცხოვრების სახსარი? ტფილისის საოლქო ბიურომ რის გაკეთებაც შეეძლო გაფიცულთა სასარგებლოდ, უკვე გააკეთა,—მან დიდის მეცადინეობით შეაგროვა ორთოდე გროში, რომელიც, რასაკვირველია, ყველას ვერ დააკმაყოფილებდა; ხოლო საკრედიტო დაწესებულებებზე დამყარებული ჩვენი იმედები სრულებითაც არ გამართლდა. გაჭირვება დიდია,—ფული კი არსადაა! მივმართავთ დახმარებისათვის ყველას, ვისაც ბრწყინვალე მომავლის იმედი უღვივის გულში, ვინც თანაუგრძნობს დიდებულს განმათავისუფლებელ მოძრაობას: ჩვენი გამარჯვება საერთო მოძრაობისათვის კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება, წინისკენ გადადგმული; ეს იქნება ხელის შეწყობა მომავლის დასამყარებლად, როდესაც ძველი რუსეთის ნანგრევებზე უნდა აღმოცენდეს განახლებული და თავისუფალი რუსეთი.

შემოწირულებანი ტფილისის საოლქო ფ.-ტ. ბიუროს თავმჯდომარის გადასაცემად მიიღება ადგილობრივ გაზეთების რედაქციებში. ქ. ტფილისი, 2 დეკემბერი 1905 წ.

ტფილისის საოლქო ბიურო.

რუსეთი

რეაქცია დაიწყო. მთავრობამ ისევ ძველ ხერხს მიმართა და საპყრობილეები გაავსო. დააპატიმრეს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ხრუსტალიოვი, ამავე საბჭოს რამდენიმე წევრი (სოც. რევოლუც. წარმომადგენელი ჩერნოვი და სხ.), თავმჯდომარე ბეჭვდითი სიტყვის მუშათა კავშირისა და სხ.

ხელმწიფე იმპერატორმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა კაზაკებს „ერთგულ" სამსახურისთვის, რაიც მათ სავსებით დაამტკიცეს რუსეთ-იაპონიის ომის დროს და იმპერიაში წესიერების დაცვის დროს''.

ცარსკოე სელოში ხელმწიფემ მიიღო ,,ხულიგანების'' მეთაური და ბელადი, გენ. ბოგდანოვიჩი.

თუმცა რეაქციის სული და გული პობედონოსცევი სამსახურიდან გადადგა, მაგრამ ნამდვილად რეაქციის ხელმძღვანელი დღესაც ისევ პობედონოსცევია, რომელიც პეტერბურგიდან თითქმის ყოველ დღე სტუმრად მიდის ცარსკოე სელოში.

ხელმწიფემ მიიღო ტულის ,,პატრიოტული'' დეპუტაცია, რომელმაც ხელმწიფეს განუცხადა, თავისუფლება არ გვინდა და ისევ თვითმპყრობელობა აღადგინეთო.

პეტერბურგში და სხვა ქალაქებშიაც ადმინისტრაცია ჯარს ხელმწიფის სახელით ურიგებს პროკლამაციებს, სადაც ნათქვამია, რომ ხელმწიფე მოატყუეს, თავისუფლება მხოლოდ ჟურნალისტებს, ვექილებსა და ინჟენერებს უნდათ; ნამდვილი რუსი პატრიოტები ,,ევედრებიან" ხელმწიფეს ისეთივე თვითმპყრობელად დარჩეს, როგორიც იყვნენ იმისი მამა-პაპები, რომელთაც ბატონ-ყმობა მოსპეს.

ხმა დადის, ვითომ პირველი მინისტრი ვიტტე სამსახურიდან გადადგა და იმის მაგივრად დაინიშნა იბერ-რეაქციონერი გრაფი იგნატიევი.

გაზეთები იუწყებიან, ვითომ რუსეთ-იაპონიის ,,გმირი'' გენ. მიშჩენკო შორეულ-აღმოსავლეთიდან პეტერბურგში გამოიწვიეს, სადაც მას სამხედრო დიქტატორის კვერთხს ჩააბარებენო.

ამ დღეებში პეტერბურგში გენ. ბოგდანოვიჩისა და განთქმულ კრუშევანის ხელმძღვანელობით მოხდება ,,პატრიოტული'' დემონსტრაცია და დემოკრატ-რევოლუციონერების ამოჟლეტა. ამბობენ, პატრიოტები ექვს პროგრესიულ გაზეთის რედაქციებს განადგურებას უპირობენო.

მიხაილოვის მანეჟში ყოველ დღე ხულიგანების კრებები იმართება, ხულიგანებს ხელმძღვანელობენ კრუშევანი, ბოქაულები, აფიცრები, ვიღაც პოლკოვნიკი და სხ.

მაგრამ, რუს მწერლისა არ იყოს, ,,წყალი აღმართზე ვერ ავა, რაც წავიდა, მას თვალით ველარ ნახავ''.

კორესპოდენცია

ს. გურჯაანი (კახეთი). სხივმა აქაც შემოაშუქა. ერთი თვის წინად დაბეჩავებული გლეხი ახლა სრულებით გამოიცვალა. წინად თუ იგი გაუბედავი იყო, ახლა მას გაბედულად ხელში წითელი დროშა უჭირავს. გურჯაანში თითქმის ყოველ კვირა იმართება მიტინგები. პირველი მიტინგი გაიმართა კვირას, 6 ნოემბერს, რომელზედაც შეიმუშავეს მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი ისეთივეა, როგორიც სხვა სოფლებსა. ბოქაულ მოკრაპულოს (ტომით ბერძენია) თავზარი დაეცა ამ მიტინგის გამართვაზედ; მან მაშინვე შეატყობინა ქ. სიღნაღში მაზრის უფროსს და შეუთვალა, 50 დრაგუნის ჯარის კაცით მობრძანებულიყო. მართლაც, 8 ნოემბერს, მაზრის უფროსი იგნატიური მოვიდა 50 ჯარის კაცით. გლეხობამ მოთხოვნილებანი მაზრის უფროსს წარუდგინა. უკანასკნელმა აღუთქვა აღსრულება. მაზრის უფროსი იმავე დღეს წავიდა ჯარის კაცებით. მეორე მიტინგი შაბათს, 12 ნოემბერს, გამართეს, რომელზედაც სჯაბაასი ჰქონდათ მიწის შესახებ. ამაზე დაადგინეს, რომ ყოველ გლეხს შეუძლიან, სადაც უნდა, სათავადო მიწა მოხნას 5 დღიური უფასოდ, ხოლო, ვინც მეტს მოხნავს, მან უნდა აძლიოს მოსავლის მეათედი. მესამე მიტინგი მოხდა კვირას, 13 ნოემბერს, რომელზედაც ამოირჩიეს ათის და ასის თავები. ამ დღიდან შესწყვიტეს ყოველივე კავშირი მათ დამჩაგვრელ მოხელეებთან. მეოთხე მიტინგი მოხდა 14 ნოემბერს და ქურდობა-ავაზაკობის მოსპობის შესახებ ჰქონდათ ბაასი. ამაზედ დაადგინეს, რომ ვისაც ქურდობას შეამჩნევენ, ჯერ ყური უნდა მოსჭრან, მერმე თითი და, თუ მაინც არ დაიშალა, სასიკვდილოდ უნდა ჩაქოლონ.

გლეხობამ აქციზის მოხელეები გარეკა და წინადადება მისცა აქაურ მღვდელს, ი. ახალშენიშვილს, მოეშალა სამეფო დღესასწაულებში პარაკლისის რუსულად გადახდა, ბიუროკრატიის აგენტობა და გლეხების ყვლეფა. სხვაფრივ გლეხობა მედგრად იბრძვის პაწია ბიუროკრატების და რეჟიმის წინააღმდეგ.

დროებით გურჯაანელი

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. პავლე ვ. თუმანიშვილი.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 5